# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცეა, ფეხებით და ჯოხებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 16 ივლისი, 2014 წელი.

№138 (7519)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## კარგი სტარტი

3

### ავტომობილებს ახლობლების აგარაკზე წასაყვანად მოიხმარენ

2

## ორა შეჯდა მწყერი ხესა, ლელა არის გვარი მისი...

4

იმ ევროპაში, რომლისკენაც ვისწრაფვით, კერძოდ გერმანიაში, მეორე მსოფლიო ომის წინ ორი დიდი მსახიობი, ვარსკვლავი — მარიკა როკი და მარლენ დიტრიხი მოღვაწეობდნენ. პირველმა ბოლომდე უმღერ-უცეკვა ფიურერს, ხოლო მეორემ დროზე გაასწრო ამერიკაში და თავისი შემოქმედებით იქიდან ებრძოდა ჰიტლერის რეჟიმს

## საკაშვილის დაცვა, მზარე - ული და 8 მილიონი

6

## უსაფრთხოა თუ არა ნატანტრიდან მესტიაში ფრენა?

2

## მაგთიკომი ფართოვდება

5

## უკონტროლო ხელისუფლება

9

## ეროსი კიწმარიშვილმა თავი მოიკლა?

ზემოხვევა

**გუშინ** თბილისში, ყიფშიძის ქუჩაზე მისსავე ავტოფარეხში გარდაცვლილი იპოვეს ცნობილი მეწარმე, ერთ დროს „რუსთავი-2“-ის დამაარსებელი და მფლობელი ეროსი კიწმარიშვილი. ადგილობრივი ორგანოების არჩევნებისას იგი რუსთავის მერობის კანდიდატად იყრიდა კენჭს.

თავდაპირველად გავრცელდა ვერსია, რომ ე. კიწმარიშვილი მოკლეს, მაგრამ შემდეგ ოფიციალურ ვერსიად მაინც თვითმკვლელობა დასახელდა (გარდაცვლილის გვერდით ნაპოვნია იარაღი) ძიებაც სწორედ ამ — 115 მუხლით (თვითმკვლელობა) დაიწყო.

გამოძიება პროკურატურას აქვს დავალებული.

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ინფორმაცია

## გაფორმდება მემორანდუმი

**საქართველოს** მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება.

პროექტი, რომელიც საქართველოს მთავრობასა და აშშ-ის მთავრობას შორის ხელმოწერილი ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის ფარგლებში ხორციელდება, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის აღმასრულებელმა დირექტორმა დენა ჰაიდიმ მთავრობის ადმინისტრაციაში გუშინ პირისპირ გამართულ შეხვედრაზე განიხილეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურიდან აცნობეს, მთავრობის მეთაურმა დენა ჰაიდის კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა, რომ საქართველო იმ ოთხ ქვეყანას შორის არის, რომლებმაც ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისგან მეორე კომპაქტი მიიღეს.

პირისპირ შეხვედრის შემდეგ გაფართოებული შეხვედრა გაიმართა, სადაც მხარეებმა მეორე კომპაქტის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. აღინიშნა, რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ კომპაქტი განათლების სფეროს განვითარებისთვის გამოყო.

კომპაქტს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი — საქართველო ახორციელებს, რომლის სამეთვალყურეო საბჭოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობს.

## მადლობა სოლიდარობისთვის

**ისრაელის** ელჩი საქართველოში იუვალ ფუქსი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს და ქართველ ხალხს ისრაელის მიმართ გამოჩენილი სოლიდარობისთვის მადლობას უხდის.

— საქართველოს მთავრობამ და ხალხმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ჩვენ ნამდვილი მეგობრები ვართ. დაახლოებით 10 წლის წინათ ისრაელი ღაზადან გამოვიდა. იოლი გადაწყვეტილება არ იყო, მაგრამ ჩვენივე ინტერესებიდან გამომდინარე, ეს ნაბიჯი მაინც გადავდგით. “ჰამასის“ მიერ კონტროლირებადი ღაზას სექტორიდან პასუხად ათასობით რაკეტა მივიღეთ, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში ჩვენი ქალაქებისა და მოქალაქეებისკენ იყო მომართული.

ისევე, როგორც ადრე, ისრაელს ახლაც ესაჭიროება თავდაცვა. ნებისმიერი მთავრობის მსგავსად, ისრაელს აქვს უფლება, დაიცვას თავი ჭურვებისგან და „ჰამასის“ რაკეტების არეალში მყოფი მილიონობით ადამიანი გადაარჩინოს.

მე პატივს ვცემ და ვაფასებ საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხის სოლიდარობას ისრაელის მიმართ. მინდა, განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა პრემიერ ღარიბაშვილს და საქართველოს მთავრობის თითოეულ წევრს იმ წუხილისთვის, რომელსაც ისრაელში არსებული სიტუაციის გამო გამოთქვამენ და სრული გაზიარებისთვის იმ ფაქტისა, რომ ისრაელს თავდაცვის უფლება აქვს.

საქართველოს მთავრობა გამოხატავს ღრმა შეშფოთებას ისრაელის წინააღმდეგ განხორციელებული სარაკეტო დარტყმების გამო და ისრაელის მოქალაქეებს სოლიდარობას უცხადებს. ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაში, რომელიც გუშინ გავრცელდა. მასში აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობა ასევე მწუხარებას გამოთქვამს ღაზას სექტორში დაპირისპირების შედეგად მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვის გამო.

საქართველოს მთავრობა იმედს გამოთქვამს, რომ უახლოეს ხანში შეწყდება ცეცხლი და დაპირისპირებულ მხარეებს შორის განახლდება სამშვიდობო მოლაპარაკებები, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში ვითარების სტაბილიზაციას, — აღნიშნულია პრემიერის განცხადებაში.

## ფოთსა და ბაქოს შორის საკონტეინერო ბლოკ-მატარებელი ივლის

**სს „საქართველოს რკინიგზის“** შვილობილ კომპანია „ტრანს კავკასუს ტერმინალსსა“ და „აზერბაიჯანის რკინიგზას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მიმდინარე წლის 15 ივლისიდან ფოთი-ბაქოს (კიშლი) სარკინიგზო მონაკვეთზე, ბლოკ-მატარებელი რეისების შესრულებას დაიწყებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან აცნობეს, მისი მეშვეობითაც ყოველ სამშაბათს და შაბათს ფოთიდან ბაქოს მიმართულებით განხორციელდება კონტეინერების გადაზიდვა. ტვირთების ფოთიდან ბაქოში ტრანსპორტირებას 34 საათი დასჭირდება.

◎ ახალი რეისი

# უსაფრთხოა თუ არა ნატახტრიდან მესტიაში ფრენა?

**ნატახტრის აეროდრომიდან საქართველოს სხვადასხვა ქალაქის მიმართულებით რეისების განხორციელება იგეგმება. უახლოეს მომავალში ფრენები, სავარაუდოდ, ქუთაისისა და ბათუმის მიმართულებით დაინიშნება. 18 ივლისიდან კი რეისი — „თბილისი-მესტია-თბილისი“ იფრენს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ამბობს, რომ საქართველოში მცირე აეროპორტების ქსელის განვითარება იგეგმება.**

„ჩვენ ასევე ვგეგმავთ, რომ საქართველოში მცირე აეროპორტების ქსელი განვავითაროთ და აღვადგინოთ ბევრი ტურისტული მიმართულება, რომელიც ტრადიციულად არსებობდა საქართველოში. ეს თვითმფრინავი გამოყენებული იქნება არა მხოლოდ სვანეთის, არამედ სხვა მიმართულებითაც“, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა და დასძინა, რომ მთიანი რეგიონების მიმართულებით ფრენები აღდგება.

„თავის დროზე უცხოელმა ექსპერტებმაც გვითხრეს, ეს თვითმფრინავი არ არის კონტროლირებადი“

ნატახტარის აეროდრომის გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება ქართული ავიაკომპანია „სერვის ეირის“ დამფუძნებელმა ამირან მანჯავიძემ. მისი თქმით, ნატახტარს საქართველოში უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა აქვს შიდა რეისებისთვის. მანჯავიძის ინფორმაციით, ფრენები სხვა მიმართულებითაც იგეგმება.

მესტიაში ფრენებს „საქაერონავიგაციის“ ყოფილი ხელმძღვანელი და ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე, ოპოზიციონერი დეპუტატი გიორგი კარბელაშვილიც გამოეხმაურა. მისი თქმით, მესტიაში ფრენებისთვის შერჩეულმა L-410 ტიპის თვითმფრინავებმა შესაძლოა, კატასტროფა მოგვიტანოს. კარბელაშვილმა მთავრობას მოუწოდა, კარგად შეისწავლონ აღნიშნული თვითმფრინავების ისტორია.

როგორც კარბელაშვილი აცხადებს, მესტიის აეროპორტი ურთულეს აეროპორტად ითვლება და თავის დროზე, წინა ხელისუფლებამ კატეგორიული უარი თქვა L-410 ტიპის თვითმფრინავების საქართველოში ფრენაზე, რადგან ის არაკონტროლირებადი თვითმფრინავია.

„ამ თვითმფრინავის ფრენამ შეიძლება უბედურება მოგვიტანოს. თავის დროზე უცხოელმა ექსპერტებმაც გვითხრეს, რომ ეს თვითმფრინავი არ არის კონტროლირებადი. მას სულელ თვითმფრინავს ეძახიან. 1991 წელს მოხდა ოთხი ტრაგედია, ტრაგედია მოხდა 1992 წელს, რუსეთის თითქმის ყველა ქალაქში ჩამოვარდნილია, ექვსჯერ მოხდა ტრაგედია 2003 წელს, 2004-ში ჩამოვარდა კილიმანჯაროზე, სამი — ჩამოვარდა აფრიკაში. თავის დროზე ჩამოვარდა სოხუმში, ჩამოვარდა ფოთში და ამას მოჰყვა ტრაგედია“, — აცხადებს გიორგი კარბელაშვილი.

„საქართველოს აეროპორტების გაერთიანებაში“ კი ამბობენ, რომ საჰაერო ხომალდის L-410 უსაფრთხოა. როგორც „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ოპონენტების მიერ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია უსაფუძვლოა და ემსახურება თბილისი-მესტიის რეისის განახლების მნიშვნელოვანი პროექტის ხელის შეშლას და მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას.

„საჰაერო ხომალდი L-410, რომელიც იფრენს მესტიაში, არის უსაფრთხო, რასაც ასევე მოწმობს ის ფაქტი, რომ იგი სერტიფიცირებულია ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს მიერ, რომელიც მოქმედებს საერთაშორისო და ევრორეგულაციებზე დაყრდნობით. შესაბამისად, საჰაერო ხომალდი, რომელიც სერტიფიცირებულია ევროკავშირის ქვეყნებში ოპერირებისათვის, არ შეიძლება იყოს საფრთხის შემცველი, სწორედ ამის გარანტად დგება ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტო“, — აღნიშნულია განცხადებაში.

რა შეეხება მესტიის მიმართულებით რეისებს, პირველი რეისი 18 ივლისს, პარასკევს შესრულდება. რეისები კვირაში სამჯერ: ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს განხორციელდება. გაფრენა 11:00 საათზე იქნება, გამოფრენა კი — 14:00 საათზე. ბილეთის ღირებულება ერთი მიმართულებით 65 ლარით განისაზღვრა. როგორც საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დირექტორმა **ქეთევან ალექსიძემ** აღნიშნა, მოთხოვნის გათვალისწინებით რეისების დამატება მოხდება.

მესტიის მიმართულებით ფრენებს ქართული ავიაკომპანია „სერვის ეირი“ შეასრულებს, რომელმაც „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა. კომპანია რეისებს ახალი, ჩეხური 15-ადგილიანი თვითმფრინავებით განახორციელებს. თბილისიდან მესტიის მიმართულებით ავიარეისები საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრობის ხანგრძლივობას (7-8 სთ.) 45 წუთამდე შეამცირებს. მგზავრებისთვის თბილისსა და ნატახტარს შორის მიმოსვლა სპეციალურად გამოყოფილი ავტობუსით უფასო იქნება.

ავტობუსი, რომელიც მგზავრებს უფასოდ გადაიყვანს ნატახტარის აეროდრომისკენ, კვირაში სამჯერ გავა თბილისიდან, მეტროსადგურ „რუსთაველის“ მიმდებარე ტერიტორიიდან და ამავე ადგილზე ჩამოიყვანს მესტიიდან ჩამოსულ მგზავრებს ნატახტარის აეროდრომიდან. ბილეთის ღირებულება ერთი მიმართულებით იქნება 65 ლარი. აღსანიშნავია, რომ ეს არის სახელმწიფოს სუბსიდირების შედეგად მიღებული ფასი, რადგან ავიაკომპანიას ერთი მგზავრის გადაყვანა გაცილებით ძვირი უჯდება. სახელმწიფოს 3 წლის მანძილზე განსაზღვრული აქვს ლიმიტირებული სუბსიდიით ავიაფრენების წახალისება, რათა მგზავრებისთვის უფრო ხელმისაწვდომი იყოს ბილეთის შეძენა, ასევე კომპანიამ შეძლოს კონკურენტული ფასებით მეტი რეისის განხორციელება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ფრენა ზამთრის პერიოდში.

◎ აუჰ!

# ავტომობილებს ახლობლების აგარაკზე წასაყვანად მოიხმარენ

**პირადი ავტომობილები ძირითადად თავმჯდომარისა და მოადგილეების ოჯახის წევრებს ხმარდება, — ამის შესახებ პრესკონფერენციაზე საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, საკრებულოს ემსახურება 38 მანქანა, რომლისთვისაც გამოყოფილია 432 000 ლარის საწვავი.**

— დღეში იხარჯება იმდენი საწვავი, რაც პატრულის ეკიპაჟისთვის. რეალურად, თავმჯდომარე და მისი მოადგილეები, მანქანას ძირითადად მოიხმარენ სამსახურში მოსასვლელად და წასასვლელად. დანარჩენი საწვავი იხარჯება მათი ოჯახის წევრების, ახლობლების აგარაკზე, მაღაზიებში, ბაზრობასა და სხვა ადგილებში წასაყვანად, — განაცხადა ელისაშვილმა.

მისივე თქმით, საკრებულოს თავმჯდომარე უნდა ფიქრობდეს ხარჯების შემცირებაზე.

— საკრებულოს თავმჯდომარის განცხადება ვნახე, რომ ქვეყანა როცა დამშვიდდება, მერე იტყვის უარს ასეთ რამეებზე. ქვეყნები იმიტომ განვითარდნენ, რომ მერებმა, მინისტრებმა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარი თქვეს ძვირადღირებულ ავტომობილებზე და დადიან ფეხით, ველისიპედით, მეტროთი და ა.შ. შევარდნაძის ჩინოვნიკები ცალცალი კალოშით მოვიდნენ და მილიონერები გახდნენ, სააკაშვილის ჩინოვნიკები ფეხშიშველები — და მულტიმილიონერები გახდნენ, ახლა კი ახალი მთავრობა ცდილობს, რომ მილიონერები გახდნენ, — განაცხადა ელისაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, საკრებულოში, წინა მოწვევის მსგავსად, „ქართული ოცნება“ აპირებს 12 ფრაქციის, ხოლო „ნაციონალური მოძრაობა“ 2 ფრაქციის შექმნას, რომ თავმჯდომარეებმა ავტომობილებით იარონ.

რაც შეეხება „სითი პარკის“ საკითხს, როგორც ელისაშვილი აცხადებს, ის ამ საკითხსაც დააყენებს საკრებულოში.

— ყველაფერი, რაც არეულდარეულია ქალაქში, უნდა გამოსწორდეს. ძალიან კარგია, რომ მამუკა ახვლედიანი არის საკრებულოს წევრი, რომელიც არის “სითი პარკთან“ დადებული დანაშაულებრივი გარიგების ერთ-ერთი მთავარი ფიგურა. დავსვამთ ახვლედიანს და მოვაყოლებთ რა და როგორ იყო, — აღნიშნა ელისაშვილმა.

* * *

**საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატის, ალეკო ელისაშვილის ინფორმაციით, აუცილებლად მოხდება საკრებულოს თანამშრომლების ოპტიმიზაცია. როგორც ელისაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, თანამდებობებიდან უნდა გათავისუფლდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მიყვანილი არაფრის მაქნისი კადრები.**

— ჩემი ინფორმაციით, საკრებულოს თანამშრომლების ოპტიმიზაცია გარდაუვალი იქნება. ჩემ ფუნქციას ვხედავ იმაში, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მიყვანილი არაფრის მაქნისი თანამშრომლები არ უნდა მუშაობდნენ. სამწუხაროდ, ასეთი ბევრია. კვალიფიციური ადამიანები, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი „ნაციონალური მოძრაობის“ დროს მუშაობდნენ, არ უნდა დაიჩაგრონ და მათ უნდა გააგრძელონ მუშაობა, — განაცხადა ელისაშვილმა.

მისივე თქმით, მიმდინარეობს მუშაობა თუ რა სახით მოხდება ოპტიმიზაცია.

ინტერპრესი

# კარგი სტარტი



**ცესკომ არჩევნების მეორე ტურზე თვითმმართველი ძალაძეების მერობის კანდიდატების სმების დათვლა დაასრულა. წინასწარი მონაცემების მიხედვით, თბილისში დავით ნარმანიამ 72.47% მიიღო, ნიკანორ მელიამ – 27.53%. ყველა თვითმმართველ ძალაძეიც „ძართული ოცნების“ მერობის კანდიდატებმა გაიმარჯვეს.**

**FOR.GE-მ მეორე ტურის შეფასება ექსპერტ რამაზ საყვარელიძეს სთხოვა.**

**– ბატონო რამაზ, ყველგან სახელისუფლებო კანდიდატები ლიდერობენ, თქვენი შეფასებით, რამდენად დაემთხვა მოლოდინები რეალობას?**

– ის, რომ მოსახლეობა აღმოჩნდა იგივე დონეზე აქტიური, როგორც პირველი ტურის დროს, სავარაუდოს ხდიდა, რომ გაიმარჯვებდა ის კანდიდატი, რომელიც პირველ ადგილზე იყო გასული პირველი ტურის შედეგების მიხედვით და ყველგან იყო ეს „ქართული ოცნება“. რაკი ადამიანთა თითქმის იგივე რაოდენობა ჩაერთო, სავარაუდო იყო, რომ გამარჯვება ისევ „ქართულ ოცნებას“ დარჩებოდა.

**– სავარაუდოდ, ის სმები, რომელიც პირველ ტურზე სხვა, ოპოზიციურმა პარტიებმა მიიღეს, უნდა წასულიყო, „ნაციონალურ მოძრაობასთან“, როგორც ოპოზიციურ ძალასთან, თუმცა, ასე არ მოხდა, რატომ ასცდა რეალობა ლოგიკას?**

– დავაზუსტოთ, ყველგან ნაციონალები არ უპირისპირდებოდნენ „ოცნებას“, როგორც ოპოზიცია. თბილისში მარტივი ასახსნელია – არც ერთი ოპოზიციური პარტია, რომელმაც ვერ მიაღწია მეორე ტურამდე, არ იყო დადებითად კი არა, ნეიტრალურად განწყობილიც კი, „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ - ყველა მათგანი კრიტიკულად იყო განწყობილი – შესაბამისი განწყობა ჰქონდა მათ ელექტორატსაც.

არალოგიკური იქნებოდა, ეს სმები „ნაციონალურ მოძრაობასთან“ აღმოჩენილიყო. ერთადერთი, რამაც „ნაციონალურ მოძრაობას“ მისცა პროცენტი, ეს არის მათდამი კრიტიკული ან „ოცნების“ მხარდამჭერი ელექტორატის სიზარმაცე, ანუ არწასვლა არჩევნებზე და ამის პროპორციულად იზრდება ნაციონალების შედეგიც. ის, რომ მათ სმები მიიღეს სხვა ოპოზიციური პარტიების რესურსიდან, ეს ვერსია გამორიცხული მგონია.

რაც შეეხება მოსახლეობის აქტივობას, სწორედ აქტივობის გაზრდის თვალსაზრისით რამდენიმე ბიზნესკომპანიამ მოაწყო აქცია, თუმცა, ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ მოსახლეობის დაახლოებით იგივე ოდენობა მივიდა არჩევნებზე, ცოტა ნაკლებიც კი, რაც წინა ტურზე იყო. თუმცა, სალაპარაკო მისცა ნაციონალებსაც და ზოგიერთ დამკვირვებელსაც, რომელსაც ამ აქციის მიმართ კითხვები გაუჩნდა. ყოველ შემთხვევაში, აშშ-ის ელჩმა საქართველოში, ეს ფაქტი აღნიშნა...

**– საინტერესოა, შეცვალა თუ არა რამე ამ „მომგებიანმა თითმა“, თუ ვიკვლევთ, შეიძლება, ასეთი ვერსია განვიხილოთ – აქციაში ჩაერთო უფრო ასაკიანი ამომრჩეველი, სამაგიეროდ, შესაძლოა, სიზარმაცე გამოჩინეს ახალგაზრდებმა – ასეთ შემთხვევაში შეიძლება, მივიღოთ იგივე რიცხვი.**

– რაც შეეხება კითხვებს ამ აქციის მიმართ, რა თქმა უნდა, ნაციონალებსაც და სხვა ოპოზიციურ პარტიებსაც სალაპარაკო ექნებათ, ეს არ უნდა გაგვიკვირდეს, მაგრამ ის, რომ მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა და სკანდალური არჩევნები არ იყო, ეს ფაქტი, ალბათ, საკმარისია იმისათვის, რომ არ ვილაპარაკოთ, რომ რამე დარღვევებმა იქონია კარდინალური გავლენა.

რაც შეეხება, ინიციატივას, არ მესმის, რატომ უნდა ყოფილიყო ის ხელისუფლების იდეა, რადგან არანაირი გარანტია, რომ ამ აქციაზე წამოეგებოდა არა „ოცნების“, არამედ ნაციონალების მხარდამჭერი, ალბათ, არ არსებობდა. ამ აქციით შესაძლოა, მოხიბლულიყო ის, ვისაც ეკონომიურად შედარებით უჭირს ანუ საშუალო ასაკის ფენა – სწორედ ეს ფენაა ყველაზე მეტად კრიტიკულად განწყობილი „ქართული ოცნების“ მიმართ, იმის გამო, რომ მას სამართლიანობის აღდგენა გაუჭირდა. ხანდაზმულებსა და ახალგაზრდებში ეს პროტესტი ნაკლებია.

შესაძლოა, აღმოჩნდეს, რომ ამ მიპატიჟებით საარჩევნო უბნებთან, სწორედ „ქართული ოცნების“ მიმართ კრიტიკულად განწყობილი ნაწილი მივიდა და არა მათი მხარდამჭერები – ამიტომ, კითხვის ნიშანი, რომ ეს ხელისუფლებისთვის მომგებიანი აქცია იყო, სრულიად უადგილოა.

ისიც საინტერესოა, ამ აქციის გარეშე რა მოხდებოდა? ან რა მოხდა იმ უბნებში, სადაც ეს კომპანიები არ არის შესული და მათმა იდეამ ვერ იმუშავა – როგორი პროცენტული რაოდენობაა იმ უბნებთან შედარებით, სადაც ეს ფირმები იყო წარმოდგენილი? ის, რომ კომპანიები ხშირად აწყობენ რაღაც აქციებს მომხმარებლის მოსაზიდად, ახალი არ არის – როგორც ჩანს, ეკონომიკურად, სოციალურად და პოლიტიკურად მომგებიანი იდეა ერთმანეთს შეუთავსეს. პირადად მე, ამ იდეამ ძალიან გამართო.

**– რაც შეეხება უფრო სერიოზულ თემას, ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერთა განცხადებები - გიგა ბოკერია, რომელიც მიიჩნევს, რომ ეს იყო არადემოკრატიული არჩევნები და უკანგადადგმული ნაბიჯი ქვეყნისთვის (არგუმენტად მოჰყავს უგულავას არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე დაკავება), აცხადებს, რომ თითოეული ხმის დასაცავად იბრძოლებენ. რამდენად ობიექტურია ამ შემთხვევაში მსგავსი განცხადებები?**

– გიგა ჭკვიანი ახალგაზრდაა, საიმისოდ, რომ იგულისხმო, ის მხოლოდ პროპაგანდისტული ფორმულის გამჟღერებელია – ხომ არის, როდესაც პოლიტიკაში ერთ ფორმულას დადებენ და შემდეგ ყველა ერთსა და იმავეს იძახის – ამ როლისთვის გიგა ძალიან მენანება და ვისურვებდი, რომ გინდ იყოს კრიტიკულად განწყობილი და გინდ არა, რაღაც ორიგინალური არგუმენტით იყოს მისი პოზიცია გამყარებული და არა იმით, რაც მან კარგად იცის – რომ ეს უკვე მობეზრებული აქვს საზოგადოებას. კარგად იცის, რომ ხშირად ერთი და იგივე არგუმენტის ტრიალი ამ არგუმენტს ასუსტებს და არ აძლიერებს იმ საზოგადოებაში, რომელშიც, უგულავას დაჭერას დიდი აღშფოთება არ გამოუწვევია.

აღიარებს ამას „ნაციონალური მოძრაობა“ თუ არა, ეს უკვე მათი საქმეა, მაგრამ ის, რომ „ქართულმა საზოგადოებამ“ მისცა უპირატესობა სხვა პარტიას, ამაში გარკვეული წვლილი თვითონ „ნაციონალურ მოძრაობას“ და მათ მიერ დაშვებულ, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, შეცდომებს აქვს. ამ შეცდომების დიდი წილი მოდიოდა უგულავაზე. ამ, რბილად რომ ვთქვათ, შეცდომებში არის დანაშაულები და არა მხოლოდ ბიუჯეტის თანხების მითვისება, არამედ არჩევნებში ხმების მითვისებაც. სარეკორდო მითვისება განახორციელეს, როდესაც სააკაშვილი 53%-ით გავიდა – სოციოლოგიური კვლევებით ჩანდა, რომ მათ დაახლოებით 25-30% ხმებისა, გააყალბეს.

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ 2012 წლის არჩევნებშიც გაყალბებული ხმების რიცხვი დიდი იყო, ისიც 30%-ს უახლოვდება. NDI-ს გამოკვლევით 10% იყო, არჩევნებში ნაციონალების მხარდამჭერი და პარლამენტში შევიდა 40%. ამ პოზიციის ავტორმა დღევანდელი არჩევნების დარღვევებზე რომ ილაპარაკოს, ეს გამაღიზიანებელია საზოგადოებისთვის.

ეს რომ ვერ გათვალა „ნაციონალური მოძრაობის“ საკმაოდ ჭკვიანმა ფენამ, ეს არის გარკვეული თვალსაზრისით დასანანი, რადგან ველოდებოდი, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ რაღაცეებს ისწავლიდა და უფრო მაღალი დონის კონკურენტი იქნებოდა, ანუ საკუთარ თავს გაზრდიდა ამ ბრძოლაში. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მხოლოდ ის გააკეთა, რომ გამაღიზიანებლად მოქმედებს საზოგადოებაზე – იმას აბრალებს სხვებს, რის გამოც საზოგადოება მის მიმართ კრიტიკულად განწყობილია – ხმების, ბიუჯეტის მოპარვის, დანაშაულების გამო. დაჭერებზე ლაპარაკობს „ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც კატასტროფულ მაჩვენებელში აიყვანა პატიმართა რიცხვი და მდგომარეობა.

ამ ფონზე მათი მხრიდან ასეთი შეფასებები ალბათ მათთვის ყველაზე წამგებიანი ნაბიჯია. ამ არჩევნებით არ მთავრდება პოლიტიკა, 2016 წელი მოდის და ისე იქცევა „ნაციონალური მოძრაობა“, რომ დიდი შანსი, ამ დროისთვის კიდევ უფრო ნაკლები ამომრჩეველი დაიბევოს.

**– თუმცა, ხელისუფლებას დემოკრატიისკენ სვლის არგუმენტად სწორედ არჩევნების მეორე ტურის გამართვა მოჰყავს და მართლაც, საქართველოში, პირველად, ადგილობრივი არჩევნების ისტორიაში, შედგა მეორე ტური. თქვენი შეფასებით, ეს რას უსვამს ხაზს?**

– ხელისუფლების გამეორება არ მინდა, რადგან ხელისუფლება ხშირად ისე იმეორებს ამას, არ იშიფრება, რატომ არის დემოკრატიული და აღიქმება, როგორც სტერეოტიპული ფრაზა.

ხელისუფლებამ, უფრო ზუსტად, „ქართულმა ოცნებამ“ დააწესა 50%-იანი ბარიერი, მერე მთელ რიგ რეგიონებში თვითონვე ვერ შეწვდა ამ ბარიერს და მათ შორის, ისეთ მნიშვნელოვანში, როგორიც თბილისია, დააკლდა 4-5 პროცენტი. ეს არ მოიპარა და ჩაატარა ხელმეორე არჩევნები.

იმის გამო არ ჩატარებულა მეორე ტური არასოდეს, რომ ხელისუფლება აწესებდა ყოველთვის იმ დონის ბარიერს, რომლის გადალახვაც თვითონ არ გაუჭირდებოდა. მეორე მხრივ, თუ გაუჭირდებოდა, მერე უკვე აგროვებდა აკრძალული ხერხებით მისთვის საჭირო ხმებს. ამიტომ არ ყოფილა მეორე ტური არასოდეს.

რაკი დღეს მეორე ტური გაიმართა, გამოდის, რომ ის ორი ელემენტი იყო ისეთი, როგორიც შეესაბამება დემოკრატიულ საზოგადოებას – ბარიერი ისეთი, რომლის გადალახვაც თვითონ მმართველ პარტიასაც გაუჭირდება და გაუჭირდა კიდეც და პატიოსანი დამოკიდებულება ამ გასაჭირთან – ანუ მიღება თამაშის იმ წესისა, რომელიც ეხება ყველას ერთნაირად. ეს არის დემოკრატია.

რაკი გამონაკლისი არ გაკეთდა არც კანონში და არც მერე, ამ კანონის აღსრულებაში, მივიღეთ მეორე ტური. ამიტომ არის მეორე ტური დემოკრატიულობის ნიშანი – და ახლა ვაკეთებ იმ საქმეს, რასაც წესით, მთავრობა უნდა აკეთებდეს.

**– მმართველი ძალის ლიდერები ნაკლებად ამბობენ იმას, რაც უნდა თქვან, გამონაკლისების გარდა და ასეთი იყო პრემიერის განცხადება არჩევნებთან დაკავშირებით, როდესაც ღარიბაშვილმა ისტორიული უწოდა ამ არჩევნებს და თქვა, რომ არა აქვს მნიშვნელობა, ვინ გაიმარჯვა, მთავარია, რომ გაიმარჯვა ქვეყანამ. თუმცა, აქამდე ხაზს უსვამდა-ხოლმე ნარმანიას გამარჯვებას და ამის გამო მის მიმართ საყვედურებიც კი ისმოდა...**

– სასიამოვნო ტენდენციაა ქართულ პოლიტიკაში, თუკი გამყარდა ეს ტენდენცია – მიუხედავად პოლიტიკური კუთვნილებისა, როდესაც ამ რანგის სახელმწიფო მოღვაწე აფასებს მოვლენას ქვეყნის მასშტაბით და არა მისი პარტიის მასშტაბით გამარჯვებას ან წაგებას, არამედ მოვლენას, რომელიც სიახლეა და მთელი ქვეყნის გამარჯვებაა. ასეთი მოვლენა მეორე ტურის არჩევნები უდავოდ არის.

**– არის თუ არა ეს არჩევნები კარგი სტარტი 2016 წლის არჩევნებისთვის?**

– რა თქმა უნდა, იმ მხრივ, რომ კარგი ტრადიციები ყალიბდება – არჩევნების მიმართ მეტ-ნაკლებად პატიოსანი დამოკიდებულება. მეტ-ნაკლებად, იმიტომ ვამბობ, რომ ხელი ბევრს წაუცდება მაინც, მაგრამ ის, რომ სტანდარტად შემოდის პატიოსანი დამოკიდებულება და არა მოპარვა ხმებისა, ეს, ალბათ, კარგი სტარტია.

**– თუ საარჩევნო კოდექსის შეცვლაც დაემატება?**

– მაშინ კარგი იქნება, ხოლო თუ საარჩევნო სიებიც დაამატეს, მთლად უკეთესი. ასეთ შემთხვევასი 2016 წლის არჩევნები უნიკალური იქნებოდა.

**– იგრძნობა, რომ ხელისუფლება ამ მიმართულებით აპირებს ნაბიჯის გადადგმას? ვნახეთ, რომ ამ არჩევნებისთვის თავი შეიკავა.**

–ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, ხელისუფლება თუ იგრძნობს რომ 50%-იანი ბარიერის დაწესებით, (შეეძლო კრიტიკა არ მიეღო და არ დაეწესებინა) კარგი საქმე გააკეთა. წესით, უნდა დაენახა და საზოგადოებამაც კარგად უნდა დაანახოს, რომ ეს ხელისუფლების პლუსია, მან დაიცვა სტანდარტი, მაშინაც კი, როცა გაუჭირდა ამ სტანდარტის შესრულება. სასურველია, რომ ამისთვის ხელისუფლებამ საზოგადოების აპლოდისმენტი მოისმინოს.

თუ შესაბამისად, ის დანარჩენ ელემენტებსაც მოაწესრიგებს, კანონსა და სიებს, ამან სირთულეც რომ შეუქმნას მმართველ პარტიას, ორივე მაინც მის პლუსებში ჩაიწერება. მათი მოწესრიგებით უფრო მეტ ხმებს მიიღებს მმართველი პარტია, 2016 წლის არჩევნებისთვის, ვიდრე ამ საკითხის მოუწესრიგებლად დატოვებით.

ესაუბრა
**ლალი ზირაძიშვილი**

◎ ალიანჩალიანი

## იმერეთში, კახეთსა და თბილისში საწარმოები და რესტორანი დაიხურა

**სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების დეპარტამენტმა კრიტიკული შეუსაბამობების გამო თბილისში, ქუთაისში, სამტრედიაში, წყალტუბოსა და გურჯაანში რამდენიმე საწარმოსა და რესტორანს საწარმოო პროცესი შეუჩერა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ სურსათის ეროვნული სააგენტოდან აცნობეს, შემოწმდა ქუთაისში, წერეთლის ქუჩაზე მდებარე „ფუდმარტი“ და ნიკეას ქუჩაზე – ხორცის სარეალიზაციო ობიექტი შპს „უხვი“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ქვილიშორში – შპს „ქალაქური 2013“-ის კუთვნილი რესტორანი, სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე - ნაყინის საწარმო შპს „მყინვარი“, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში – ი/მ „ბერდია ქიტუაშვილის“ ნახევარფაბრიკატების საწარმო და თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე - შპს „ჯაზას“ პურის ქარხანა.**

**აღნიშნულ საწარმოებში გამოვლინდა კრიტიკული და არაკრიტიკული შეუსაბამობები: ტექნოლოგიური პროცესის ნაკადურობის, სანიტარიული ნორმებისა და ტემპერატურული რეჟიმის დარღვევა; ბიზნესოპერატორებმა ვერ წარმოადგინეს პროდუქციის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი კვლევის ოქმები; შენობები არ იყო დაცული მღრღნელებისა და მწერებისაგან.**

**აღნიშნული დარღვევების გამო ბიზნესოპერატორებს - ს.ს „ფუდმარტს“, შპს „უხვს“, შპს „ქალაქური 2013“-ს, ი/მ „ბერდია ქიტუაშვილსა“ და შპს „ჯაზას“ კრიტიკული შეუსაბამობების აღმოფხვრამდე შეუჩერდათ საწარმოო პროცესი და ბიზნესოპერატორები 1000-1000 ლარით დაჯარიმდნენ.**

ინტერპრესი

# არა შეჯდა მწყერი ხესა, ლელა არის გვარი მისი...

**დიახ, ლელა წურწუმიაზე მოგახსენებთ, კიდევ სტეფანეზე და კიდევ ქართული ესტრადის ყველა იმ „ვარსკვლავზე“, ვინც ამას წინათ ე.წ. მშვიდობის ხიდზე სოლიდარობას უცხადებდა, როგორც იქნა „ვირის აბანოში“ გამწესებულ გიგი უგულავას. თუმცა, ქართული ესტრადის „პრიმადონა“ იმ ხიდზედაც ისევე იყო გამორჩეული გიგი უგულავას მიმართ განსაკუთრებული აღტკინება-სიყვარულით, როგორც ყოველთვის გამოირჩეოდა ლელა წურწუმია ე.წ. სამთავრობო მომღერალთა შორის განსაკუთრებული სიბრმავე-სიყრუით მიშნაცების მიერ 9 წელიწადში ჩადენილი დანაშაულობების მიმართ და ამიტომ სათაურშიც გამოვარჩიე „მამულიჩას კნეინა“, მაგრამ სანამ ამ ქალბატონის ვრცელი ტირადიდან (რომელიც ინგა გრიგოლიას რეაქციაში მოვისმინეთ) „მარგალიტებს“ გამოგირჩევდეთ, მანამდე ისა ვთქვათ, როგორ, რატომ მივედით აქამდე და რა გვჭირს საერთოდ...**

ქსოვრელების დასტა – ყველას გვსმენია, მათი დუდუკების ისეთი საამური ჰანგები, რომელიც მკვდარსაც კი ქეიფის იშტაზე მოიყვანს და ნაცტერორის დროს შექმნილი „მიშას კასტა“, გნებავთ „მიშას მომღერლები“, კიდევ გნებავთ? – „მიშასთვის მღერალნი“, რომელთა სმენა (ქსოვრელთაგან განსხვავებით) პირიქით, ცოცხალ კაცს სიკვდილს განატრებინებდა...

მარტო ჩამონათვალი რად ღირს: მერაბ სეფაშვილი (რომელმაც „ჩემი გმირი მიშათი“ სამუდამოდ მოიჭრა ქართველი მსმენელის გულებისკენ მავალი გზები), ეკა კახიანი და მისი მხოლოდშობილი ასული ნინი ბადურაშვილი (რომელმაც სისხლით მორწყულ რუსთაველზე ისე უმღერა ქართველთა სისხლით გაუმაძღარ სააკაშვილს, რომ ლამაზი წარბ-წამწამნიც არ შერხევია), ნიკოლოზ, ახლა რაჭველი, მაშინ მემანიშვილი, ბუბა კიკაბიძე და სოფო ნიჟარაძე (რომლებმაც მანამდე არ გააგდეს ხელიდან „დირიჯორსკი პალოჩკა“ და პირებიდან მიკროფონი, სანამ სცენაზე ცოცხებით არ აუვარდნენ და ჩაუშალეს „ვერის უბნის მელოდიების“ რიმეიკი „შედევრი“) და, რა თქმა უნდა, დუტა სხირტლაძე და ოთარ კობერიძე, რომლებიც ვოკალური მონაცემების გარეშეც მიშას კასტის უმნიშვნელოვანესი წევრები გახლავან, პირველი – მასხარა დუტა უცვლელი წამყვანი იყო მიშას კასტის სამთავრობო კონცერტებისა, ხოლო მეორე, „ბაში-აჩუკის“ შემდეგ პედოფილიაში ეჭვმიტანილი ბებერი, კიდევ ერთი ბებერის, მაგრამ ამჯერად „კარენოი“ მთაწმინდელი ბუბასი არ იყოს, დღესაც ლამის მესიად გვისახავენ მსოფლიოში სიმხდალით განთქმულ კურდღელს. ჰოდა, აბა, „მიშას კასტის“ წვრილფეხობა, გნებავთ „პეხოტა“: ნიაზ დიასამიძე, სტეფანე და ზუმბა-მუმბა-ცუმპარუმპები რაღა სახსენებელია?

თუ ვინმე გამომრჩა მომიტევეთ, რადგან მათი სახელი ლეგიონია!..

თუმცა მას შემდეგ, რაც, 2012 წლის 1 ოქტომბერს, უკაცრავად ჟარგონისთვის და ერთიანად „დაეხათ ფლაგები“ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და მათ ბელადსაც, კუთხეში მიმწყვდეულ მიშას მომღერალთა კასტის სექტანტებს, ყველას ერთად და ცალ-ცალკე რამდენიმე „რკინისებური არგუმენტი“ ჰქონდათ და დღესაც აქვთ – „მე პოლიტიკაში არ ვერევი, მე პოლიტიკა არ მესმის, მე პოლიტიკა არ მაინტერესებს“ და ა.შ. სხვა მრავალი უსუსური მცდელობები საკუთარი უზნეო ქმედებების გამართლებისა!..

**ჯერ ვის რა „ჰძონდათ“ იმისა ვთქვათ:** ალბათ, გახსოვთ 7 ნოემბრის სასტიკი დარბევის შემდეგ დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების წინ მიშას კასტელების მიერ გამართულ კონცერტზე მერაბ სეფაშვილმა, როგორ პირდაპირ პირში შეამღერა, ჩემი გმირი ხარ და „გაიმარჯვებ იცოდეეე, ჩემო ვაჟკაცოო“, პარტერში მჯდომ, სიამოვნებისგან გაბადრულ „გადამდგარ“ ნაპრეზიდენტალს, რითაც იმ ქართველი საზოგადოების რისხვა გამოიწვია, რომელსაც დღესაც ყურში ჩაგვესმის მერაბ სეფაშვილის, ამ უდავოდ ნიჭიერი კი არა და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, დიდი მომღერლის საეტაპო, საცხრაპრილო „თეთრი რაში“ თუ სხვა მრავალი ქალაქური ჰიტები...

მერაბის გმირმა, ტუტუცმა სააკაშვილმა, რა თქმა უნდა, გაიმარჯვა გივია თარგამაძის მიერ „სულამოხდილ“ საქართველოში და მაშინ, როდესაც ნაცებსაც და მათ კასტასაც ეგონათ, რომ მშვიდად „ჰგიებდნენ უკუნითი უკუნისამდე“...

არა, ნამდვილად არ მინდა ე.წ. საკანი №5 აქციის გადაჭარბებით შეფასება, მაგრამ არც მთლად დუმილი ივარგებს. ასე იყო თუ ისე, საბოლოო ჯამში „უცნობის“ პერფორმანსმა სერიოზული რყევები გამოიწვია ნაცების ბანაკში, მაგრამ ახლა სხვა რამ მინდა, შეგახსენოთ – „უცნობის“ მიერ საკანში „შეტყუებულთაგან“, ზოგმა გაუძლო „განაბის როლში შესული“ გია გაჩეჩილაძის წნეხს და პირიქით, დივიდენდებით გამოვიდა „სვაბოდაზე“, ზოგმა კი აშკარად ჩაისვარა და ამ ჩასვრილთაგან ერთ-ერთი სწორედ მერაბ სეფაშვილი იყო, ზემოთ ნახსენები „რკინისებური“ არგუმენტებისა გამო!

**ახლა იმათიც ვთქვათ, ვისაც „დღესაც აძვთ“:** თუ არ ვცდები, ეკა ხოფერიას ჰქონდა მცდელობა და 1 ოქტომბრის შემდეგ ერთმანეთთან შესარიგებლად დასვა მიშას კასტელები და მიშასგან შერისხულები, რომელთაგან კონკრეტულად ვინ იყვნენ, ყველა არ მახსოვს, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ იმ გადაცემაში მერაბ სეფაშვილს ჭკუა ეყო და „ვერ მივიდა“, ხოლო ვინც მივიდა, მათ შორის, მთავარი აქტიორები შერისხულთაგან ისევ „უცნობი“ ნაცნობი, ხოლო სექტანტთაგან ეკა კახიანი იყვნენ, რომელსაც სეფაშვილისგან განსხვავებით ჭკუა არ ეყო და ზემოდ ხსენებულ: „არ ვიცი, არ მაინტერესებს, არ ვერევი“ რკინისებრ არგუმენტებს, ერთი სავსებით მიწიერი და აქედან სავსებით „გასაგებ-მისაღები“ არგუმენტიც დაუმატა – ჩემი პროფესია სიმღერაა და რა მექნა, ჭამა ხომ მინდოდაო!?.

მართლაცდა, რა უნდა ექნა არა მარტო ეკას, მაგრამ ამაზე ქვემოთ და ახლა ე.წ. მშვიდობის ხიდზე შემდგარ მიშას კასტელებს დავუბრუნდეთ, რომლებიც „მეგობარი“ გიგი უგულავას დაცვით, ხმაც რომ არ ამოეღოთ, ისედაც შეუერაცხყოფას გვაყენებდნენ ქართველ საზოგადოებას...

მამულიჩას კნეინას გახმოვანებით კი, თურმე იმ ხიდიდანაც ჩანს გიგი უგულავას ნაღვაწი გაბრდღვიალებული ნარიყალას სახით. მერე რა, რომ ჯერ თავად ხიდია სააკაშვილი-უგულავას ბანდის ვოლუნტარიზმის მკაფიო მაგალითი და აქედან გამომდინარე, თბილისელთაგან იმთავითვე „ოლვეის ულტრად“ მონათლული ე.წ. მშვიდობის ხიდია წმინდა ანჩისხატის ტაძრის შეურაცხყოფა და ზოგადად ძველი თბილისის კოლორიტის დამახინჯება და მთავარი „მერე რა რომ“ – მიშას ვარსკვლავების კასტის მეტს, ნაკლებად აინტერესებს გაბრდღვიალებული ნარიყალა, რადგან ქართველთა უმრავლესობის ცხოვრებაში გამეფებულ ბნელსა და ყიამეთს, ვერ ათბობს და ანათებს ნარიყალას პროჟექტორები...

ან, უკვე ყელში ამოსული – „ბოლოს და ბოლოს რაღაც კარგიც ხომ გაკეთდა“ და მაგალითად ისტორიულ რიყეზე გაჩხერილი ორი მახინჯი „ტრუბა“ მოიყვანა ხიდზე პროტესტის მონაწილემ, რუსთაველის თეატრის ყოფილმა დირექტორმა, ზაალ ჩიქობავამ – თქვენ შიგნით არ გინახავთ რა არის, ასეთი დარბაზით ევროპაც იამაყებდაო და საერთოდაც, მადლიერების გრძნობა უნდა გვქონდეს „დიდი ტანადის“ მიმართ, დაგვამუნათა უმადური ქართველები...

მარინე საღარაძეც ყოფილა მსახიობთა და, რაც მთავარია, უგულავას ხიდის მეგობართა ამქარში – მისი სამსახიობო ტალანტების შესახებ არაფერი ვიცი. ისე, თუ ცხონებული გურამ საღარაძის ქალიშვილია, გავჩუმდები, რადგანაც თავად ქალბატონის მსახიობობა მხოლოდ სატელევიზიო ტიტრიდან გავიგე, იძულებული ვიქნები გურამ საღარაძის ლექსაობა (ქლესაობა) გავიხსენო მაშინ, რუსთაველზე იმ ღამეს, როდესაც წაგებულ ომში გამარჯვებას ზეიმობდა ჰალუსტუკჭამია და მიწაზე მფორთხავი პრეზიდენტი!

დაბოლოს, ზემოთ შეპირებული, აბა რა ექნათ, ჭამა ხომ უნდოდათო – ბუტა რობაქიძეს, გიორგი გამცემლიძეს, სანდრო გირგვლიანს, ქუჩებში ათობით ჩაცხრილულ ბიჭებსაც უნდოდათ ჭამასმაც და კარგი ცხოვრებაც, მაგრამ...

იმ 350 ათას პატიმარსაც უნდოდა კაი ცხოვრება, მაგრამ მათ არა მხოლოდ მიშას გულაგები გაიარეს, არამედ ბევრი ცოცხებით გააუპატიურეს. იმ მიშას გულაგებში რომლის პრეზიდენტობისასაც მიშას კასტელთა დამუნათებით, რაღაც კეთდებოდა, მაგრამ...

ლელა წურწუმიამ, რა პრივილეგიებიო? წელიწადში სულ 2 სამთავრობო კონცერტი გვქონდა, ახალ წელს და თბილისობასო. ისემც კარგი დაგემართოს, მაგრამ, თუნდ ასეც იყოს, სხვებს, თუნდაც ზურაბ დოიჯაშვილს (რომელთან ჩაწერილი დუეტით გახდა ლელა პოპულარული, აღარაფერს ვამბობ ნატო მეტონიძეზე, ლიზი ბაგრატიონზე, მაია ჯაბუაზე, ნუკრი კაპანაძეზე და ა.შ. საბედნიეროდ, ნიჭიერი და, რაც მთავარია, პატიოსანი შემოქმედების სახელიც ლეგიონია), რომ არსად აჭაჭანებდნენ, ამაზე მაინც რატომ არ უჩნდებოდა პროტესტი ლელას?

რაღა ბევრი გავაგრძელო და ვინ პრივილეგირებული იყო და ვინ არა, ამის საილუსტრაციო დოკუმენტი ზუმბას ინიცირებით გადაღებული კლიპი „გამარჯობა, აფხაზეთო ჩემოა“ – ვისაც იქ მონაწილეობის პატივი და მსუყე ჰონორარი ერგო (ალბათ ოთარ რამიშვილის გარდა) ეგენი არიან მიშას კასტელები!

ჰოდა, მათ და არა მარტო მათ გასაგონად – მიშას მომღერლები, ჟურნალისტები თუ ე.წ. თავისუფალი ზონის კასტელებ-სექტანტებო, სამართლიანობის ვერ, ან სასურველი ტემპით არ აღდგენით გაღიზიანებულ ქართველებს ნუ გვიჩიჩხინებთ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ „არ იცოდით, არ გესმოდათ, არ ერეოდით და აბა რა გექნათ, ჭამა ხომ გინდიდათ“, როგორც მინიმუმ საკაშვილის 9-წლიანი რეჟიმის თანამონაწილენი თქვენცა ხართ და ქართველი საზოგადოების მოთმინებასაც აქვს საზღვარი და ისე ნუ იზამთ, რომ ან იმ ხიდიდან მტკვარში გიფრინონ და ან გმირთა მოედანზე თქვენი ბელადის ავტოპორტრეტ ფალოსის სტელაზე შეგოგსვან!

იმ ევროპაში, რომლისკენაც ვიწრაფვით, კერძოდ გერმანიაში, მეორე მსოფლიო ომის წინ ორი დიდი მსახიობი, ვარსკვლავი – მარიკა როკი და მარლენ დიტრიხი მოღვაწეობდნენ. პირველმა ბოლომდე უმღერ-უცეკვა ფიურერს, ხოლო მეორემ დროზე გაასწრო ამერიკაში და თავისი შემოქმედებით იქიდან ებრძოდა ჰიტლერის რეჟიმს, მიუხედავად იმისა, რომ აბა გერმანიაში აშენდა თუ აშენდა ფიურერის დროს, განსხვავებით ნაცების ფიურერ მიშასგან.

მარიკა როკი, როგორც ადოლფ ჰიტლერის კახპა ისე შევიდა ისტორიაში, ხოლო მარლენ დიტრიხი, როგორც დიდი მსახიობი!

**ეს ისე, ცნობისთვის, ან როგორც შტირლიცი იტყოდა, „ინფორმაცია განსჯისათვის“...**

**დავით მხეიძე**

◎ კაპალ გულში

## წერტილოვანი ფრაზები

- **არჩევნები როდისაა?**
- **ჰემინგუეის აქვს მოთხრობა - „რაღაც დამთავრდა“.**

**ჩვენთანაც დამთავრდა რაღაცეები.**
**მსოფლიო ჩემპიონატი დაგვემშვიდობა.**
**ედუარდ ამბროსოვიჩი წავიდა.**
**არჩევნები დამთავრდა.**
**არადა დასამთავრებელი კიდევ ბევრია, ოღონდ, რაღაც რომ მთავრდება, იქვე, რაღაც უკეთესი უნდა დაიწყოს.**

- **ერთადერთი პრივილეგია, რაც პოლიგლოტებს აქვთ, ისაა, რომ ორიგინალში შეუძლიათ გენიოსების წაკითხვა, მაგრამ რატომღაც უმრავლესობა მხოლოდ CV-ში ჩასაწერად იყენებს!**
- **VGDS T|-იმ ბოდიშის ნაცვლად კიდევ დასცინა სამართლიანად აღშფოთებულ საზოგადოებას. თუმცა, რას უნდა ელოდო ამ TV-დან როდესაც მის სარედაქციო პოლიტიკას განსაზღვრავს საკაშვილის რეჟისორად წოდებული ვინმე „ობობა“.**
- **პირველ ტურში ნარმანიას მხარი დაუჭირა ამომრჩევლების (თბილისის ამომრჩეველთა სრული რაოდენობის) დაახლოებით 19.78%-მა. მელიას დაახლოებით 11.61%-მა მეორე ტურში ნარმანიას – 24.48%, მელიას – 9.18% ძალიან ბევრი ანალიზის გაკეთება შეიძლება, მარა ახლა მეზარება.**
- **უგულავას შპს-ები რომ არის, მაგ: „სინათლის ქალაქი“ (კობა ხაბაზი რომ 3000 ლარს იღებს), თბილისის ტრანსპორტი (რუსუდან რჩეულიშვილი 2500 ლარს რომ იღებს ტრანსპორტში გენდერული თანასწორობის დაცვაში) დ.ა.შ გაუქმდება, თუ ნაც-აქტივისტები ოცნების აქტივისტებით ჩანაცვლდებიან?**
- **„გიგი ფრანკის დღიური“ დასაბეჭდად მზად ყოფილა.**
- **ო.შ.მ-ის გარეშე, გავიცნობ ანგელა მერკელს...**
- **არჩევნები დამთავრდა .. მსოფლიო ჩემპიონატიც დამთავრდა ... რაღა ვქნათ ახლა?**
- **პოსტარჩევნებისეული ეპოქა დაიწყო.... რას უქადის 2-წლიანი შტილი, პოლიტიკურ ქარტეხილებში გამობრძმედილ ქართველ ხალხს? ვავა, ვავა.... რამე პლებისციტი მაინც ჩაატარეთ - „როგორ ჯობია დიდუბიდან ნახალოვკაში მოხვედრა – ჩერეზ კინო „საქართველო, თუ ჩერეზ „მალაკნები?“**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძემ**

◎ ახალი ოფისი

# მაგთიკომი ფართოვდება



**მაგთიკომი სხვა თუ არაფერი, დღეს თავს იმით იწონებს, რომ კავშირგაბმულობის სისტემაში ყველაზე ბევრ — 3 მილიონზე მეტ აბონენტს ემსახურება. საუკეთესო სერვისი, მისაღები ტარიფები და მობილურობა — ეს ის სიკეთეებია, რაც ასე იზიდავს მომხმარებელს. მაგთიც ჩვეულ სტილს არ ღალატობს და მაქსიმალურ კომფორტსა და ხელმისაწვდომობას სთავაზობს აბონენტებს.**

მაგთიკომს თბილისში კიდევ ერთი, 47-ე ოფისი შეემატა. გუშინ აღმაშენებლის 109-ში მომსახურების ახალი ოფისი გაიხსნა. იგი ისტორიულ შენობაშია განთავსებული და ლამაზი დიზაინით გამოირჩევა. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი **თათული ღვინიაშვილი** ამბობს, რომ ოფისი მომხმარებელთა მოთხოვნის გათვალისწინებით გაიხსნა. **„იგი ახლებური დიზაინით არის წარმოდგენილი, რა თქმა უნდა, მეტი კომფორტის შესაქმნელად. აქ მუშაობს ერთი ფანჯრის პრინციპი, რიგის მარეგულირებელი, რაც მომსახურების მაქსიმალურ გამარტივებას ისახავს მიზნად. ახალი ოფისი სადღესასწაულო დღეების გარდა, ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 9-მდე იმუშავებს, ხოლო შაბათ-კვირას — საღამოს 6 საათამდე. ამაზე, ბუნებრივია, არ გავჩერდებით და გარეუბნებშიც ვაპირებთ გაფართოებას“.**

ახალ ოფისს ესტუმრა მაგთის ერთგული აბონენტი 50 წლის ქალბატონი **თამარ ჭეიშვილი,** რომელსაც სიმბოლური საჩუქარი გადასცეს. **„მაგთის მომხმარებელი ვარ 1998 წლიდან,** — აღნიშნა ქალბატნმა თამარმა, — **ანუ 16 წელიწადია ამ ქსელის აბონენტი ვარ და არასდროს სხვა მომსახურებით არ მისარგებლია. ვფიქრობ, ამ სფეროში ერთგულება ყველაზე მნიშვნელოვანია. გავუძელით ყველა გამოწვევას, სირთულეებს. დღესდღეობით მაქვს „ბანი“ და ძალიან კმაყოფილი ვარ.**

**რაც შეეხება ახალ ოფისს, ის ჩემთვის მოსახერხებელია. მართალია, სხვა უბანში ვცხოვრობ, მაგრამ დღის განმავლობაში აღმაშენებელზე მიწევს ყოფნა. ამდენად, ძალიან მესიამოვნა, როცა აღმაშენებლის გამზირზე მაგთის წარწერა ვიხილე“...**

მაგთიკომს შექმნილი აქვს მომსახურების ფართო ქსელი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე — 47 ოფისიდან 12 თბილისში ფუნქციონირებს — 35 კი — რეგიონებში. ამას გარდა, მომხმარებელს ემსახურება 5 მობილური ოფისი, დილერების ფართო ქსელი, ასევე იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრები.

იმის მიუხედავად, რომ მომხმარებელს სერვისების მართვა დამოუკიდებლად შეუძლია მობილურიდან თუ ინტერნეტის საშუალებით, მომსახურების ოფისები მაინც სრული დატვირთვით მუშაობენ და მაგთის დახვეწილი და გამოცდილი ოპერატორები დღეში ასობით აბონენტს ემსახურებიან.

**დღეისთვის მაგთიკომი 5 ბრენდით არის წარმოდგენილი საკომუნიკაციო ბაზარზე — ტრადიციული „მაგთი“, ახალგაზრდული „ბალი“, იაფი „ბანი“, საოჯახო „მაგთი ფიქსი“ და მრავალარხიანი ტელევიზია — „მაგთისატი“. ქსელის მენეჯერები სხვა საინტერესო სიახლეებზეც მუშაობენ, რომელსაც მალე შესთავაზებენ იმ ადამიანებს — მობილურობა და ოპერატიულობა ასე რომ სჭირდებათ თანამედროვე სამყაროში.**

თეა მოსია

◎ ექსპრეზიდენტმა დაიჭიხვინა

# მიხეილ სააკაშვილი — მე უუნაგირო ცხენი ვარ

**ბუნებით ისეთი ადამიანი ვარ, რომ არც ერთი სპეცსამსახური არ მომენდობოდა, — ამის შესახებ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აზერბაიჯანულ Haqqin.az-თან ექსკლუზიურ ინტერვიუში, პოსტსაბჭოთა რეგიონში ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს როლზე საუბრისას განაცხადა.**

**მიხეილ სააკაშვილის თქმით, კრემლში, სადაც აქტიურად საუბრობენ აშშ-ის სადაზვერვო სამმართველოს საქმიანობაზე რეგიონში, როგორც ჩანს, არ ესმით, რომ როგორც უკრაინაში, ისე საქართველოში და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ხალხი თვითონ წყვეტს თავის ბედს.**

**— ამერიკის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ძლიერ შეასუსტა თავისი პოზიციები, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა რეგიონში. ცივი ომის დასრულების შემდეგ მათ აქ არაფერი დარჩათ — არც სერიოზული ანალიტიკა, არც სადაზვერვო ქსელი. ამერიკულ დაზვერვას საერთოდ დაავიწყდა ჩვენი რეგიონი. ბოლო ათწლეულის განმავლობაში მათ პრიორიტეტები შეეცვალათ. მთელი თავისი რესურსი ახლო აღმოსავლეთში გადაისროლეს. საუკეთესო ძალები ისლამურ სახელმწიფოებში ტერორიზმთან ბრძოლისთვის გადაისროლეს. შედეგად, უკრაინაში განვითარებული მოვლენები ამერიკული დაზვერვისთვის სრული მოულოდნელობა იყო. ამიტომ საუბარი იმაზე, რომ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აქტიურად მუშაობს ჩვენს რეგიონში და რაღაც სცენარებს ამზადებს, სრული აბსურდია. რომც მოინდომონ, ამერიკული სპეცსამსახურების ახლანდელი მდგომარეობისა და პრიორიტეტების პირობებში, ამის გაკეთებას ვერ შეძლებენ. ამიტომ კრემლში ან უნდათ, ეს დაიჯერონ, ან უბრალოდ ამ გზით ამართლებენ თავიანთ ქმედებებს, რომლებიც მიმართულია რუსული გავლენის ზონის გაფართოებისკენ, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.**

**ჟურნალისტი, ასევე, დაინტერესდა იმ ბრალდებებით, რომელიც ისმის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან თანამშრომლობის თაობაზე.**

**— მე არ ვარ ის ადამიანი, ვისი კონტროლიც შესაძლებელია. ცხოვრებაში არასდროს მყოლია უფროსი. ვიყავი დამოუკიდებელი იურისტი ამერიკაში, შემდეგ — დეპუტატი. დიახ, რაღაც დროის განმავლობაში გახლდით მინისტრი, მაგრამ ძალიან დამოუკიდებელი. შემდეგ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ვიყავი. საბოლოოდ, ქართულ ოპოზიციას ჩავუდექი სათავეში და საქართველოს პრეზიდენტად ამირჩიეს. ამიტომ, მე ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ჩემი გამოძახება და რაიმე დავალებების მოცემა. არ ვიცი, ეს როგორი სანახავი იქნებოდა. მე, როგორც იტყვიან, უუნაგირო ცხენი ვარ. ბუნებით ისეთი ადამიანი ვარ, რომ არც ერთი სპეცსამსახური არ მომენდობოდა. ენაზე კბილის დაჭერა არ შემიძლია. საიდუმლოს ვერ ვინახავ და არც მიყვარს საიდუმლოებები,** — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ინტერპრესი

◎ ალიანჩალიანი

## ელექტროენერგიის ტარიფს მნიშვნელოვანი ზრდა არ ემუქრება

**ელექტროენერგეტიკის სექტორში ახალი სატარიფო მეთოდოლოგიების შემუშავება დასრულდა, თუმცა, ჯერჯერობით უცნობია შეიცვლება თუ არა ელექტროენერგიის ტარიფი. სემეკის ორგანიზებით, ახალი მეთოდოლოგიის პრეზენტაცია გუშინ სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ მიმდინარეობდა. პრეზენტაციას სემეკის წევრები, ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მარიამ ვალიშვილი, ელექტროენერგეტიკის სექტორში მომუშავე კომპანიების წარმომადგენლები და ექსპერტები ესწრებიან.**

**როგორც მარიამ ვალიშვილი აცხადებს, ახალი მეთოდოლოგია დაბალანსებულია და იცავს როგორც მომხმარებლის ინტერესებს, რომ მომხმარებელი დაცული იყოს გაზრდილი ფასებისა და არამიზნობრივი ხარჯებისგან, ასევე გარკვეულ მოტივაციას და გარანტიას აძლევს ინვესტორს, რომ ინვესტირებული თანხა გარკვეული მოგების ოდენობით ამოღებული იქნება.**

**ვალიშვილის თქმით, მეთოდოლოგიაში სამართლიანობის მაღალი ხარისხი შემოდის. რაც შეეხება იმას, იმოქმედებს, თუ არა ახალი მეთოდოლოგია ელექტროენერგიის ტარიფზე, ვალიშვილის თქმით, ტარიფი მნიშვნელოვნად ნამდვილად არ გაიზრდება.**

## დევნილთა სამინისტრომ ფრანგულ-ქართულ ასოციაციასთან თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ ფრანგულ-ქართულ ასოციაციასთან თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა.**

**ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციით, ფრანგულ-ქართული ასოციაცია აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ წიგნს გამოსცემს, სადაც აღწერილი იქნება დევნილი ოჯახების ისტორიები. წიგნში ასევე შევა, სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტები და ხედვა დევნილთა პრობლემების მოგვარების კუთხით.**

**მემორანდუმის თანახმად, სამინისტრო მიმდინარე აქტივობების შესახებ ინფორმაციას ქართულ-ფრანგულ ასოციაციას მიაწვდის. თავის მხრივ, ქართულ-ფრანგული ასოციაცია ვალდებულებას იღებს, სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაცია გაავრცელოს როგორც საქართველოში, ასევე საფრანგეთის ტერიტორიაზე.**

ინტერპრესი

# სააკაშვილის დაცვა, მზარეული და 8 მილიონი



**მთავარ პროკურატურაში დიდი სტუმრიანობა იყო. გიორგი ბადაშვილის უწყების სტუმრები ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაცვის ყოფილი უფროსი თემურ ჯანაშია, დაცვის თანამშრომლები გიორგი ლაგურაშვილი, ვალერ კილაძე, რამაზ ლაფაჩიშვილი და სანდრა რულოვსის დამხმარე გავაზ კულოიანი იყვნენ. რა საკითხთან დაკავშირებით იმყოფებიან დაკითხვაზე სააკაშვილის დაცვის წევრები, მთავარი პროკურატურა ოფიციალაურ განმარტებას არ აკეთებს. უწყებაში მხოლოდ იმას განმარტავენ, რომ დაცვის ყოფილი თანამშრომლები საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიღების მიზნით დაიბარეს.**

მთავარ პროკურატურაში დაკითხვაზე დაბარებული სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსი თემურ ჯანაშია დაკითხვამდე აცხადებდა, რომ მას ტელეფონით დაუკავშირდნენ პროკურატურაში და განუცხადეს, რომ პრეზიდენტის დაცვის ხარჯებთან დაკავშირებით ჰქონდათ შეკითხვები. ჯანაშიასთან ერთად უწყებაში მისი ადვოკატები გოგიტა გაბაიძე და ბექა ბასილაია მივიდნენ.

დაახლოებით სამსაათიანი დაკითხვის შემდეგ პროკურატურა ჯანაშიას გარეშე დატოვა გოგიტა გაბაიძემ, რომლის განცხადებით, მისთვის უცნობია წაუყენებენ თუ არა ჯანაშიას ბრალს. როგორც გაბაიძემ აღნიშნა, პროკურატურაში მას ხელი მოაწერინეს სპეციალურ განცხადებაზე, რომ საქმეს, რომელზეც გამოძიება მოკვლებას აწარმოებს გრიფი „საიდუმლო“ ადევს. „გამაფრთხილეს, რომ კომენტარი არ გააკეთო“, — განაცხადა გოგიტა გაბაიძემ.

ამასთან, საგამოძიებო უწყებაში დაკითხვაზე ყოფილი პირველი ლედის სანდრა რულოვსის დაცვის უფროსი გიორგი ლაგურიშვილი იმყოფებოდა, რომელმაც პროკურატურა კომენტარის გარეშე დატოვა. კომენტარი არ გააკეთა საგამოძიებო უწყებაში დაბარებულმა სანდრა რულოვსის დამხმარე გავაზ კულოიანმა, რომელიც უწყებაში ადვოკატის გარეშე გამოცხადდა.

მიხეილ სააკაშვილის დაცვის ყოფილმა წევრმა და ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის დაცვის სამსახურის უფროსმა რამაზ ლაფაჩიშვილმა, რომელიც ასევე დაკითხა პროკურატურამ, ჟურნალისტებს დაუდასტურა, რომ კითხვები სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ იყო, რასაც გრიფი „საიდუმლო“ ადევს და შესაბამისად, დეტალურად ჟურნალისტების კითხვებს ვერ უპასუხებს. ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის დაცვის სამსახურის უფროსმა არ გამორიცხა, რომ ამავე საკითხზე ის კვლავ დაიბარონ დაკითხვაზე.

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ იყო კითხვები, რასაც გრიფი „საიდუმლო“ ადევს, ამიტომ კითხვებზე ვერ გიპასუხებთ“, — განაცხადა რამაზ ლაფაჩიშვილმა.

**შეგახსენებთ, რომ საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხარჯების არამიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით, მთავარ პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. როგორც ირკვევა, საქმე ეხება 2009-2012 წლებს. საუბარია 8 მილიონი ლარის არამიზნობრივ ხარჯვაზე და სწორედ ეს არის ერთ-ერთი საკითხი, რაზეც ყოფილი პრეზიდენტი დაკითხვაზე დაიბარეს, თუმცა, მან გამოძიების კითხვებზე პასუხის გაცემა არ ისურვა.**

შეგახსენებთ, რომ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა გამოაქვეყნა დეტალური ინფორმაცია, სად იხარჯებოდა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისთვის განკუთვნილი თანხები. პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის მიერ გაქვეყნებული მასალით ირკვევა, რომ **საქართველოს პრეზიდენტის, მისი ოჯახის, ახლობლების, სხვა მოქმედი თუ ყოფილი თანამდებობის პირების „ფუფუნების საგნებზე“ ბიუჯეტის ფულს ხარჯავდა.**

აღნიშნულის შესახებ საუბარია დოკუმენტაციაში, რომელიც პარლამენტმა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისგან გამოითხოვა და, რომელზეც წვდომა მას შემდეგ შეძლო, რაც პროკურატურის დახმარებით ხარჯებს გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნა.

როგორც ამ ინფორმაციიდან ირკვევა, **სააკაშვილის ესპანელი მზარეულის ცხოვრების და თარჯიმნით უზრუნველყოფის ხარჯები, საერთო ჯამში, ნახევარ მილიონ ლარს შეადგენს.**

როგორც ამ დოკუმენტებიდან ირკვევა, **საკაშვილმა პარლამენტის წევრ ქალბატონს უყიდა ძვირადღირებული მობილური ტელეფონის აპარატი და სამაჯური, გარდა ამისა, სააკაშვილმა უკრაინელ მომღერალს, რომლის მამასაც საქართველოს მოქალაქეობა სრულიად უკანონოდ მიანიჭა, რადგან თავის ქვეყანაში ძებნილი იყო, ოქროს ნაკეთობები აჩუქა. საკმაოდ ძვირადღირებული ოქროს ნაკეთობა აქვს ნაყიდი და ნაჩუქარი ასევე რუსი ჟურნალისტისთვის.**

ასევე, აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა და ქალაქის ყოფილმა მერმა გიგი უგულავამ **ძვირადღირებულ ავსტრიულ კურორტზე გასახდომ პროცედურებში დახარჯეს 115 ათასი ლარი. მასალების მიხედვით, 2009 წლის 23 თებერვალს, საქართველოს პრეზიდენტს ნიუ-იორკის წამყვან კლინიკაში ბოტოქსის ოპერაციის გაკეთება 5 600 აშშ დოლარი დაუჯდა, 2011 წლის 23 სექტემბერს კი ანალოგიური ოპერაციისთვის სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტიდან 5 800 აშშ დოლარი გადაიხადა.**

დოკუმენტაციის თანახმად, **მიხეილ სააკაშვილს 5 993 ფუნტი აქვს გადახდილი ამერიკელი მსახიობი ქალის მიერ შიშველი სხეულით შექმნილ ნახატში. ამასთან, არამიზნობრივად დახარჯულ თანხებს შორის ირიცხება პრეზიდენტის მიერ ამერიკელი ბიზნესმენის კრისტინა ვუსავას სასტუმრო „რედისონში“ ცხოვრების ხარჯების ანაზღაურება და მისთვის ბოტასების შეძენა,** რაშიც, საერთო ჯამში, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ 6 668 ლარი გადაიხადა.

სწორედ ეს არის ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც სააკაშვილის წინააღმდეგ გამოძიება მის გარეშეა დაწყებული.

პარლამენტის წევრი **დავით დარჩიაშვილი for.ge-სთან** საუბრისას აცხადებს, რომ შევარდნაძის ნაშიერებისგან 8 მილიონის დახარჯვაზე ლაპარაკები, ულოგიკო, შეუფერებელი და არაადეკვატურია.

დავით დარჩიაშვილი: „წითელი შურის მაძიებლები“ ასეთი ფილმი იყო ჩემს ბავშობაში, აი ეგრე არიან „ჰაკიმ ფაშა“ და მისი ზემდგომი. შევარდნაძის პატარა ნაშიერები, რომლებსაც სძულდათ რეფორმატორები და ახლა ამ სიძულვილს იკმაყოფილებენ. მათ ფეხებზე ეკიდათ და ჰკიდიათ ვინ დაიღუპა 9 წლის განმავლობაში, მანამდე ვინ დაიღუპა და ახლა ვინ დაიღუპება. მაგათ უნდათ ძალაუფლების მათლაფის ბოლომდე გამოლოკვა.

**— საქმე ეხება სახელმწიფო დაცვის სამსახურის კუთვნილი თანხების, კერძოდ რვა მილიონი ლარის გაფლანგვას. თქვენ თვლით, რომ ამაზე კითხვები არ უნდა დაისვას?**

— შევარდნაძის ნაშიერებისგან რაღაცა 8 მილიონის დახარჯვაზე ლაპარაკი, ულოგიკო, შეუფერებელი და არაადეკვატურია. მაგათ ეგ არ აინტერესებთ.

**— და ვინ არიან შევარდნაძის ნაშიერები პროკურატურაში?**

— ღარიბაშვილი და დანარჩენები, მათ შორის — წულუკიანი, ესენი ყველანი არიან შევარდნაძის ნაშიერები. თქვენ გგონიათ შევარდნაძის ნაშიერებს ადარდებთ თანხების ხარჯვის გამჭვირვალობა, როცა დღეს დაკავებული არიან იმით, როგორ გააკონტროლონ ნებისმიერი ფინანსური ნაკადი და როგორ იყოს ეს ყველაფერი მათ წრეში მოქცეული?

**— ბატონო დავით, სახელმწიფო დაცვის სპეციალაური სამსახურის მიერ 8 მილიონი ლარის გაფლანგვაზე კითხვები არ უნდა დაისვას?**

— დასვან და ისიამოვნეთ ამ კითხვების დასმით და პასუხების მიღებით. მე გეუბნებით მათი რეალური მოტივი რა არის.

**— თქვენ თვლით, რომ გარღვევა არ ჰქონიათ და ეს არის პოლიტიკური დევნა?**

— რაღაცა გადახარჯვები ყოველთვის შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ ეს ხალხი რომელიც მისტიროდა შევარდნაძის ეპოქას, ამ დროს შევარდნაძის ეპოქაში ისეთი გარღვევები იყო, რომელიც არ დასიზმრებია არავის. მთელი ქვეყანა კორუფციაში და სიბნელეში იყო ჩაფლული. ახლა ესენი მოდიან და ამბობენ, რომ ის იყო კარგი ეპოქა და ახლა სააკაშვილის მზარეულისგან და დაცვის წევრისგან ეძებენ სად რა გადახარჯვა მოხდა.

შევარდნაძის დროინდელ კორუფციულ ფაქტებზე ყოფილმა ხელისუფლებამ დაიწყო გამოძიება, მაშინდელი მინისტრების რიგები იდგა პროკურატურაში, არაერთი მინისტრი იყო პასუხისმგებლობაში მიცემული...

**— თქვენ გგონიათ, რომ ესენი სიმართლეს და სამართლიანობას ემსახურებიან? სოციალურად და კლანობრივად ეს ადამიანები არიან შევარდნაძესთან ბევრად უფრო ახლოს, ვიდრე ვინმე ყოფილა ოდესმე. მაგათგან სამართლიანობის ძებნის მე არ მჯერა. მათი მიზანია, გაანადგურონ მოწინააღმდეგე ძალა.**

— არ მახსენდება, სააკაშვილზე უფრო ახლოს შევარდნაძესთან აღმასრულებელი ხელისუფლების რომელიმე წევრი ყოფილიყო.

**— ეგ არის ყველაზე დიდი სისულელე, რასაც ტირაჟირებენ და თქვენ ჟურნალისტები იმეორებთ და ამაზე ძალიან გული მწყდება. იმიტომ, რომ მაშინ შევარდნაძის ირგვლივ იყო მთელი ქართული პოლიტიკური სპექტრი. ზოგი მინისტრი ხდებოდა, ზოგი მის პარტიაში შედიოდა, ზოგს რა რეფორმის იმედი ჰქონდა, ზოგს რა და, როცა არაფერი არ გამოსდიოდათ, ეს ადამიანები სცილდებოდნენ მას და უპირისპირდებოდნენ.**

ვინც ბოლომდე მოერგო მისი მმართველობის სტილს და კლანურობას, ესენი იყვნენ ადამიანები — ერთი მხრივ, თარგამაძის პოლიციელები და სხვათა შორის — თამაზაშვილიც. მეორე მხრივ, გარკვეული ოჯახები და ფინანსური წრეები, რომლებსაც თუ კარგად მოჩხრიკავთ, ნახავთ დღევანდელი ხელისუფლების საშუალო რგოლში, უმრავლესობაში და რა ვიცი, სად. მათ შორის „მრეწველები“. თქვენ გგონიათ, რომ „მრეწველები“ უფრო ოპოზიცია იყო შევარდნაძის, ვიდრე სააკაშვილი, ძალიან ცუდად იცნობთ საქართველოს უახლეს ისტორიას.

**— საქართველოს უახლესი ისტორიიდან ვიცი, რომ მიხეილ სააკაშვილი იყო „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრი, ასევე მიხეილ მაჭავარიანი შემოსავლების მინისტრი...**

— შევარდნაძესთან იყო რეფორმატორთა ფრთა და იყო ძველი კომუნისტური ნომენკლატურა წითელი დირექტორები, წითელი ინტელიგენცია, პარტოკრატები. მათ შორის სულ იყო ბრძოლა და ბოლოს ეს ბრძოლა დამთავრდა 2000-2001 წლებში, როდესაც რეფორმატორებმა ჩაიქნიეს ხელი და გადავიდნენ ოპოზიციაში.

**— ბატონო დავით, დავუბრუნდეთ მთავარ კითხვას, თქვენ ფიქრობთ, რომ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანხების არამიზნობრივ ხარჯვაზე გამოძიება არ უნდა დაიწყოს?**

— ამ ადამიანებისგან სამართლიანობის აღდგენის არანაირ სურვილს არ ვხედავ. მე ვხედავ იმ შურისმაძიებლურ პოლიტიკას, რომელსაც ატარებს 2003 წელს დამარცხებული კლანები, შევარდნაძის მაშინდელი გარემოცვა, რომელიც დამარცხდა „ვარდების რევოლუციის“ შედეგად, ახლა ისინი დაბრუნდნენ. ოპოზიციის დევნაა ყველაფრის ჩაკირკიტება ისეთ ქვეყანაში, რომელიც კორუფციის ჭაობიდან ამოცურდა სულ რამდენიმე წლის წინათ ცივილიზებულ სამყაროში ეს დანახულია როგორც შურისმაძიებლური და არაფერი საერთო არ აქვს სამართლიანობასთან. თქვენ მაინც მოუსმინეთ ღარიბაშვილს და სამწუხაროდ მის რუპორად ქცეულ უსუფაშვილს, რომ ამაში რაღაცა სამართლიანობა არის.

ყოველთვის მოიძებნება რაღაცა ბუღალტრული გადაცდომები ან თუნდაც დანაშაულებები, ყოველთვის მოიძებნება პოლიტიკისა და ბიუჯეტის კავშირი, ყოველთვის მოიძებნება პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დასაქმება, რასაც დღეს ძალიან ფართოდ ქადაგებს ახალი ხელისფულება. თვითონ ქადაგებენ, რომ პოლიტიკურ მომხრეებს დავასაქმებთო და წინა ხელისუფლებას კი ამის გამო სჯიან.

**— პარლამენტში გამოქვეყნდა საიდუმლო ხარჯები, საიდანაც ირკვევა, რომ პრეზიდენტმა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანხებით თქვენს კოლეგას შეუძინა ძვირადღირებული საათი, ამავე თანხით მან გაიკეთა ბოტოქსი და ა.შ. მიგაჩნიათ, რომ როდესაც არსებობს ეს ფაქტები, კითხვები არ უნდა დაისვას?**

— არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება ერთი სტრუქტურიდან მეორე სტრუქტურის წარმომადგენლებისათვის რაღაცა საჩუქარი ყოფილიყო გაცემული, არ ვიცი, არ გამოვრიცხავ. მე მაგალითად მაქვს საათი, რომელიც ერთ-ერთმა სამინისტრომ, როგორც დეპუტატს, მაჩუქა. ეს თუ რამე დანაშაულია, ნუ ევროკავშირში არის ნორმა, რომ 300 ევროზე მეტი საჩუქრის მიღება არა შეიძლება.

არა მგონია, რომ ეს საათი მაგდენი ღირდეს, მაგრამ, კი ბატონო, ვაგოთ პასუხი, მაგრამ ამავე დროს, თუ ვინმეს სამართლიანობა აინტერესებს, ეგება მოვიკითხოთ თავის დროზე შსს-ს ხელშეწყობით „ალდაგი“ როგორ იყო მონოპოლისტი, რამხელა მილიონები ტრიალებდა. თარგამაძის ირგვლივ, სოსო ალავიძით დაწყებული და თამაზაშვილით დამთავრებული, რა თანხები ტრიალებდა...

**თამთა ქარჩავა**

◎ გენმოდიფიცირებული პროდუქცია

# იმოქმედებს ერთიანი სახელმწიფო სისტემა

**სნეულებებსა და ადამიანის სოციალურ სტატუსს შორის ურთიერთკავშირს, რაც უმეტესად მისი მატერიალური კეთილდღეობის დონითაა განპირობებული, მედიკოსებმა ყურადღება ადრევე მიაქციეს. ავადმყოფობათა წარმოშობის სხვა მიზეზებს თავი რომ დავანებოთ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ის, თუ რით იკვებება კაცი, რამდენად ხარისხიან საკვებს იღებს იგი, რამდენად უსაფრთხოა მისი ჯანმრთელობისთვის.**

ბოლო ათწლეულების მანძილზე სასურსათო პროდუქციაზე ფასები მთელ მსოფლიოში განუხრელად იზრდება, რადგან ყოველწლიურად დედამიწის მოსახლეობას სულ უფრო მეტი საკვები სჭირდება, რასაც უწინარესად, მოსახლეობის ზრდის ძალიან მაღალი ტემპი განაპირობებს. იმ პირობებში, როცა მსოფლიოში ერთი მილიარდი კაცი შიმშილობს, ანდა შიმშილობის ზღვარზეა, სელექციონერები ძალ-ღონეს არ იშურებენ სხვადასხვა მცენარეული კულტურის თუ შინაურ ცხოველთა და ფრინველთა ჯიშების მოსავლიანობის და ნამატის გენური ინჟინერიის მეთოდებით გასაზრდელად. საკვებზე მაღალი და მუდამ მზარდი მოთხოვნილების პირობებში, გენმოდიფიცირებული პროდუქციის ამა თუ იმ სახეობის ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედებისა და მისი შედეგების საფუძვლიანად შესწავლის დრო მეცნიერებს აღარ რჩებათ, ამის შედეგად მომხმარებელმა, საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ძალიან ხშირად არც კი იცის იმ საფრთხის შესახებ, რომელსაც ამა თუ იმ გენმოდიფიცირებული პროდუქტის მოხმარება უქადის. ჩვენი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი არასახარბიელო მატერიალური მდგომარეობის გამო, უმეტესად სწორედ გენმოდიფიცირებულ სურსათს ეტანება, რაც, უწინარესად, მისი შედარებით სიიაფითაცაა განპირობებული, თუმცა კი მისი „არამარგებლიანობის“ თაობაზე ინფორმაცია მეტნაკლებად აქვს.

სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღინიშნოს, რომ ნატურალურ და გენმოდიფიცირებულ პროდუქციას შორის განსხვავება, ფაქტობრივად, მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია, თუმცა კი მომხმარებელი ამის თაობაზე სრულად არის ინფორმირებული, რაც ჩვენში ხშირად უგულებელყოფილია. ამ შემთხვევაში, ცხადია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მომხმარებელი სათანადოდ ინფორმირებული იყოს გენმოდიფიცირებული პროდუქციის თაობაზე, რათა თავად შეეძლოს იმის განსაზღვრა, თუ რამდენად სარგებლიანია მისი მოხმარება.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი შიდა ბაზარი უაღრესად გაჯერებულია უცხოური იაფფასიანი და შესაბამისად, არცთუ მაღალი ხარისხის გენმოდიფიცირებული პროდუქციით, უაღრესად მნიშვნელოვანია მომხმარებლისთვის მის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რასაც შესაბამისი კანონმდებლობა უნდა აწესრიგებდეს, თუმცა, აქამდე ეს პრაქტიკა ნაკლებად იყო გავრცელებული. ახლო მომავალში კი, როგორც ჩანს, ეს მდგომარეობა უნდა შეიცვალოს, ვინაიდან აგვისტოდან საქართველოში „გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების შესახებ კანონი“ უნდა ამოქმედდეს.

აღნიშნული კანონპროექტი, რომელიც გარემოში გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების გამოყენებას კრძალავს, პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო. რაც შეეხება სასურსათო პროდუქციის სავალდებულო მარკირებას, კანონის ამოქმედების შემდეგ ამაზე ქვეყანაში არსებული ორი სახელმწიფო სპეციალური ლაბორატორია იმუშავებს. თუმცა კი ამის უფლებას, სათანადო აკრედიტაციის გავლის შემდეგ, კერძო ლაბორატორიებიც მიიღებენ. მათ სავაჭრო ქსელში ნებსით თუ უნებლიეთ შეტანილ არამარკირებული სასურსათო პროდუქციაზე ექნებათ კონტროლი.

ახალი კანონი გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების რეგულირების ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს, ის ასევე გავრცელდება სამკურნალო პრეპარატებზე, რომლებიც, თავის მხრივ, თავად შეიძლება შეიცავდნენ გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებსა და პროდუქტებს. მასში ერთმანეთისგან გამიჯნული იქნება „გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმისა“ და „გენმოდიფიცირებული პროდუქტის“ ცნებები.

სათანადო მონიტორინგის გასაწევად ქვეყანაში ბიოუსაფრთხოების ერთიანი სახელმწიფო სისტემა იმოქმედებს. ახალი კანონი ქვეყანაში გენმოდიფიცირებულ ცოცხალ ორგანიზმებთან (შინაურ ცხოველებთან, ფრინველებთან, თევზებთან, ხილსა და ბოსტნეულთან) დაკავშირებულ არაერთ საკითხს მოაწესრიგებს, მათ შორის: გარემოში ინტროდუქციას, ჩაკეტილ სისტემაში გამოყენებას, საბაზრო ქსელში განთავსებას, ასევე სატრანსპორტო გადაზიდვას. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო გენმოდიფიცირებულ ცოცხალ ორგანიზმებთან დაკავშირებული საფრთხეების საფუძველზე სათანადო რეესტრს შეადგენს, რითაც ქვეყნის ტერიტორიაზე ასეთი საქონლის შემოტანა და სავაჭრო ქსელში გატანა ნებადართული იქნება.

**ოთარ ტურაგელიძე**

◎ შეცდომა თუ გლეფი?

# რა ხდება სინამდვილეში

**საქართველოში გაზის მოპოვება გასული საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. ეს იყო სამგორი-პატარძეულის საბადოდან თავმოყრილი გაზი პიკური მოპოვების წლებში (1980-83 წ.წ.) წელიწადში ასეთი სახის 300 მლნ კუბურ/მეტრ თხევად აირს მოიპოვებდნენ, რაც შეეხება თავისუფალ გაზს, მისი მოპოვება 1983 წლიდან დაიწყო, მაშინ, როდესაც აღმოაჩინეს რუსთავის თავისუფალი გაზი.**

მაგრამ 80-იანი წლების ბოლოს და 90 წლების დასაწყისში სსრკ დაიშალა და ნავთობის მომპოვებელ საბადოზე კონტროლი აიღეს სხვადასხვა ფორმალურმა თუ არაფორმალურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა. დაიწყო უმოწყალო ბრძოლა საბადოზე მოპოვებული ნედლი ნავთობისათვის. შეიარაღებულ დაპირისპირებებს თან ახლდა მსხვერპლი. მაგრამ იოსელიანს, კიტოვანს და მათ უკანონოდ შეიარაღებულ ბიჭებს სულ არ ადარდებდათ ადამიანების ბედი. თითოეულ გადანაწილებულ ნავთობმომპოვებელ საბადოს შეიარაღებული ბანდა იცავდა. მისი წევრები „პროდუქციასაც“ ჰყიდდნენ. ერთი „ვედრო“ ნედლი ნავთობი 80 რუსული რუბლი ღირდა (მაშინ მიმოქცევაში რუბლი იყო). ვის რად უნდოდა ნედლი ნავთობი და გაჩნდა „მომსახურების ახალი სფერო“ — კუსტარული ნავთობსახდელები. როგორც ყოფილი „საქნავთობის“ თანამშრომლები აცხადებდნენ უმოწყალოდ იწყეს საბადოებიდან ნავთობის ხდა. სპეციალისტების განმარტებით ზეექსპლოტაციის შედეგად საბადოს თვისებაა, რომ გამომავალი ნავთობი შეიძლება არამართლზომიერად მოხმარების შედეგად დაიკარგოს. სწორედ ამგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე პატარძეული-სამგორის ჭაბურღილთან. მიწაში დაკარგული საბადოს დაძებნა და მით უმეტეს შემდგომ მისი საბადოს სახით აღდგენა წარმოუდგენელია, განგვიმარტავენ ყოფილი მენავთობეები. მათი მტკიცებით „დაცვის“ წარმომადგენლების კუსტარულ სახდელებზე გაყიდული ნედლი პროდუქცია მუშავდებოდა ასევე კუსტარულ სახდელებზე. საერთოდ, გვიხსნიან „ნეფტიანიკები“, ნედლი ნავთობიდან საწვავის ხდა უნარჩუნო წარმოებაა. თუ წარმოება ქარხნული წესით მიმდინარეობს მისგან სხვადასხვა დასახელების ნაწარმთან ერთად ვაზელინის მიღებაც კი შეიძლება ნარჩენებისგან. გიორგი ცალუღელაშვილის, მენავთობისა და კახეთის რეგიონის მკვიდრის განმარტებით, კახეთში საშინელებები ხდებოდა. საკუთარ კარ-მიდამოებში ჰქონდათ ჩადგმული სახდელები და იქვე მიდიოდა ბენზინისა და სალიარკის ხდა, ნარჩენები პატარა რუების სახით მდინარეში ჩაედინებოდა. დედა მდინარეები გაშავდა. საქონელმა აქ გაფუჭებული წყლის სმის გამო რუხი ფერი რძის მოცემა დაიწყო. სადაც იყო საბადო თითქმის ყოველ სოფელს, ყოველ მაცხოვრებელს ჰქონდა უკანონო სახდელი. განურჩევლად სახელისუფლებო რანგისა.

ერთი პერიოდი დიდი ქალაქის მაცხოვრებლები იმდენად შეაწუხა უხარისხო პროდუქტმა და ავტომანქანების საწვავმა, რომ შევარდნაძე იძულებული გახდა, გამოეცა სპეციალური განკარგულება ნედლი ნავთობის უკანონო მომპოვებლებისა და კუსტარული ნავთობსახდელების მომწყობთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე. მაგრამ ვის წინააღმდეგ უნდა განხორციელებულიყო და ვის მიერ? სამართალდამცავი ორგანოები ხომ დემორალიზებულნი იყვნენ. დადგენილების ცხოვრებაში გატარება მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც აღიკვეთა „მხედრიონის“, „გვარდიის“, „თეთრი არწივის“, „შავი ავაზისა“ და სხვა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების თარეში.

საუბრობენ რა ნავთობზე და გულისხმობენ გაზს, სპეციალისტები ყოველივეს ხსნიან იმით, რომ ნავთობს ყოველთვის მოჰყვება გაზი. იმ არეულობის წლებში, ნავთობის უკანონო დატაცების პერიოდში, საქართველომ დაკარგა მილიარდობით კუბური მეტრი ბუნებრივი აირი. დღეს საქართველოში თავისუფალი გაზის საბადო უიშვიათესი გამონაკლისია. ცოტა ხნის წინთ კომპანია „ფრონტერამ“ დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა, რომ საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ნაპოვნია 42 მილიარდი კუბური მეტრი და გაკეთებულია განცხადება, რომ საქართველო გაზის საბადოზე დგას. საბადოს აღმოჩენას იმხელა მნიშვნელობა მიანიჭეს, რომ საზეიმო გახსნას აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ როლანდი დაასწრეს და პირველადი პროდუქციაც დააგემოვნებინეს. თავის მხრივ, ამერიკის ელჩმა გააკეთა განცხადება, რომ საქართველო არის არა მხოლოდ ენერგოტრანზიტის ქვეყანა, არამედ მას აქვს პოტენციური შესაძლებლობა, გახდეს ბუნებრივი აირის მომპოვებელიც, რაც საქართველოს საშუალებას მისცემს, დამოუკიდებლად აწარმოოს საკუთარი ენერგოდამოუკიდებელი პოლიტიკა და ბუნებრივი აირი იმპორტზეც კი გაიტანოს.

ეს იყო რამდენიმე დღის წინათ და „ფრონტერა“ საქართველოს ხელისუფლებას პირობას აძლევდა, რომ მისი სამძებრო ღონისძიებების შედეგად მიაკვლიეს აირის 42 მლრდ.კბ/მ ტონიან აირის საბადოს. ეს სიახლე ჩვენს ქვეყანას ხელშეკრულებით სერიოზულ კეთილდღეობასაც ჰპირდებოდა — 2017 წლამდე სახელმწიფოს სარეალიზაციო გაზის არანაკლებ 20 პროცენტი ეკუთვნის, 2017 წლიდან კი სახელმწიფოს წილი 20 პროცენტი გახდებოდა. მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო რამდენიმე დღით ადრე. ორიოდე დღის წინათ კი ნავთობისა და გაზის კორპორაციაში „ფორტერამ“ წარადგინა დოკუმენტური მასალა, რომლის მიხედვითაც მის მიერ აღმოჩენილ გაზის საბადოებში დაძებნილია არა 42 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი, არამედ 23 მილიონი კუბური მეტრი. რაც შემოთავაზებულ ვითომ ახლად აღმოჩენილზე, კატასტროფულად ნაკლებია.

საბადოში 23 მილიონ კუბური მეტრის არსებობას ადასტურებს ნავთობისა და გაზის სააგენტოს ხელმძღვანელი გიორგი ტატიშვილიც. იგი ეყრდნობა სააგენტოში „ფრონტერას“ მიერ წარდგენილ ოფიციალურ დოკუმენტაციას. ის, თუ საიდან მოიტანა „ფრონტერამ“ 42-მილიარდიანი მარაგი 23-მილიონის სანაცვლოდ, ჯერჯერობით უცნობი რჩება სპეციალისტების, ექსპერტების, მენავთობეებისათვის.

მათი ერთ-ერთი წარმომადგენლის აკადემიკოს დავით ელიაშვილის განმარტებით, რომელსაც თავად აქვს მიღებული მონაწილეობა სამძებრო დონის ძიებებში, აცხადებს, რომ თავის დროზე კახეთში გაზის მარაგებს რამდენიმე მსხვილი კომპანია იკვლევდა, თუმცა, დიდი საბადობი ვერ იქნა მიკვლეული. აკადემიკოსი ხაზს უსვამს, რომ მისთვის და მისი კოლეგებისთვის უცნობია, რა ტიპის კვლევებს ეყრდნობა „ფრონტერას“ განცხადებები 42-მილიარდიან საბადოებთან დაკავშირებით.

**ზაზა ბილიხოძე**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მმართველი კოალიცია მეორე ტურში იმარჯვებს

## საქართველოში მერები და ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელები განმეორებით აირჩიეს

**მმართველი** კოალიცია „ქართული ოცნება“ კვლავინდებურად სარგებლობს ყველაზე მეტი მხარდაჭერით საქართველოს მოსახლეობას შორის. მაგალითად, ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურში, რომელიც 12 ივლისს გაიმართა, ყველა უბანში მისმა კანდიდატებმა გაიმარჯვეს. აღსანიშნავია, რომ კენჭისყრის პირველი ტური 15 ივნისს გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ 8 ქალაქში მმართველმა „ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეძლო, მოეგროვებინა ხმების აუცილებელი ოდენობა (50 პროცენტი), მმართველი კოალიციის მხარდაჭერა მაინც სჭარბობდა ყველა სხვა პოლიტიკურ ძალებს.

იმ ქალაქებს შორის, რომლებშიც გაიმართა მეორე ტური, იყო თბილისი. 12 ივლისის კენჭისყრის შედეგებით, მმართველი კოალიციის კანდიდატმა დავით ნარმანიამ ხმების 72,47 პროცენტით გაიმარჯვა ნიკა მელიაზე — იგი პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატია, რომელსაც ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უდგას სათავეში. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანახმად, მელიამ ხმების სულ 27,53 პროცენტი მოაგროვა.

**კენჭისყრა გაიმართა 28 ოლქში 1525 საარჩევნო უბანზე. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 35-99 პროცენტმა.**

## „ყველაზე კომპლექსური და რთული არჩევნები“

**საქართველოს** ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ თამარ ჟვანიამ 13 ივლისს ბრიფინგზე განაცხადა, რომ ორივე ტური გაიმართა მნიშვნელოვნი დარღვევების გარეშე. მისი სიტყვებით, ეს იყო „ყველაზე კომპლექსური და ყველაზე რთული, ორგანიზაციული თვალსაზრისით, არჩევნები საქართველოს არჩევნების ისტორიაში“. ჟვანიამ ასევე გვაცნობა, რომ საარჩევნო კომისია შეისწავლის და ანალიზს გაუკეთებს არჩევნების ყოველ ეტაპს, აგრეთვე ადგილობრივი და საერთაშორისო სამეთვალყურეო ორგანიზაციების რეკომენდაციებს, რათა „კიდევ უფრო გააუმჯობესონ საარჩევნო პროცესები“.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის შეფასების თანახმად, ის, რომ ადგილობრივი არჩევნები დამთავრდა წარმატებით — მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის და ქვეყნის განვითარებისათვის.

**„როგორც არჩევნებამდეც ვლაპარაკობდით, რომ გავიმარჯვებთ ყველა ქალაქსა და რაიონში, სოფლებში — ასეც მოხდა. ჩვენ გავიმარჯვეთ“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა 14 ივლისს მთავრობის სხდომაზე.

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, თავის მხრივ, მიულოცა ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვებულ კანდიდატებს და განაცხადა, რომ არჩევნების ორი ტურის წარმატებით განხორციელება არის „ისტორიული მომენტი, საიდანაც საქართველოში რეალურად იწყება პოლიტიკური კულტურისა და თვითმმართველობის განვითარება“.

**„ამ არჩევნებით ჩვენმა საზოგადოებამ გადადგა კიდევ ერთი მტკიცე ნაბიჯი ქვეყანაში დემოკრატიის კონსოლიდაციისთვის, და მიუახლოვდა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს... საზოგადოებას, რომელმაც თავისი საარჩევნო პროცესის მსვლელობის დროს გამოავლინა მაღალი თვითშეგნება და სამოქალაქო კულტურა, ვუსურვებ არჩევნების საბოლოო შედეგების გამართლებას და შემდგომ წინსვლას ერთიანობისაკენ, მშვიდობისა და კეთილდღეობისაკენ“,** — ნათქვამია მარგველაშვილის განცხადებაში, რომელიც გამოქვეყნებულია მის ინტერნეტ გვერდზე.

მიუხედავად ამისა, ოპოზიციურ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ მიიჩნევენ, რომ თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას დაპატიმრებამ შექმნა არათანაბარი პირობები პოლიტიკური ბრძოლისათვის. აღსანიშნავია, რომ ყოფილი მერი, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერია, დააკავეს სამართალდაცვის ორგანოებმა 3 ივლისს მთელი რიგი ბრალდებების გამო, მათ შორის, ფულის გათეთრებისა და ჯგუფური მოქმედებების ორგანიზაციაში, რამაც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა გამოიწვია. ამჟამად უგულავა წინასწარ პატიმრობაშია.

ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ნიდერლანდის საელჩოები საქართველოში ერთობლივ განცხადებაში ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით ასევე შეეხნენ გიგი უგულავას დაკავებას.

**„შაბათს გამართული ადგილობრივი არჩევნების მეორე ტური ასახავს კონკრეტულ პოლიტიკურ გარემოს... კენჭისყრა არჩევნების დღეს მიმდინარეობდა უმნიშვნელო დარღვევებით, მაგრამ თბილისის ყოფილი მერის წინააღმდეგ წაყენებულმა ბრალდებებმა არასამართლებრივ მოქმედებებთან დაკავშირებით შეიტანეს დაძაბულობა საარჩევნო ვითარებაში. ჩვენ კვლავ მივმართავთ თხოვნით მთავრობას, შეინარჩუნოს პროცედურების წარმოებისა და სამართალდაცვის დამოუკიდებლობის მაღალი სტანდარტი, რომელიც იქნება თავისუფალი ნებისმიერი პოლიტიკური ჩარევისაგან“,** — ნათქვამია სამი ქვეყნის საელჩოების ერთობლივ განცხადებაში.

## „ძირითადი მიზეზები“

**გიორგი მჭედლიშვილი** მიიჩნევს, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ დამაჯერებელმა გამარჯვებამ ადგილობრივ არჩევნებში, თითქმის ორი წლის შემდეგ პარლამენტის არჩევნებში გამარჯვებიდან, უპირატესობად განსაზღვრა ქართულ ელექტორატში ჯერ კიდევ არსებულმა უარყოფითმა დამოკიდებულებამ მთავარი ოპოზიციური პარტიისადმი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც საქართველოში ხელისუფლების სათავეში იმყოფებოდა 9 წლის განმავლობაში.

„ნეგატიური დამოკიდებულება „ერთიანი ნაციონალური მოძრაბისადმი“ გამოწვეულია მთელი რიგი მიზეზებით, მათ შორის ავტოკრატული ტენდენციებით, რომლებიც სულ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ამ პარტიის მართვის პერიოდში. მაგალითად, მერის არჩევნების დროს 4 წლის წინათ, ბევრ ხალხს ეშინოდა, არ დაეკარგა სამუშაო იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხმას არ მისცემდნენ მმართველ პარტიას. ამჟამად საერთო პოლიტიკური კლიმატი უფრო თავისუფალია — ჯერჯერობით ყოველ შემთხვევაში. ასე რომ, ბევრი ხმას აძლევდა არა „ქართულ ოცნებას“, არამედ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ“, — განუცხადა მჭედლიშვილმა ამერიკის ხმას ინტერვიუში.

ქართული ოცნების წარმატების მეორე მიზეზი ადგილობრივ არჩევნებში, ექსპერტის სიტყვებით, არის საგარეო-პოლიტიკური. კერძოდ, ამბობს გიორგი მჭედლიშვილი, ჯერჯერობით საქართველო ახერხებს, დაუახლოვდეს დასავლეთს და „არ გამოიწვიოს რუსეთის გაღიზიანება“. თუმცა, პოლიტოლოგს მიაჩნია, რომ ეს ტენდენცია შეიძლება ხანგრძლივი არ აღმოჩნდეს და მაშინ, თუ რუსეთი კვლავ დაიწყებს „აქტიურ კონცენტრირებას“ საქართველოში თავისი გავლენის დაბრუნებისათვის, ელექტორატმა შეიძლება უარი თქვას თავის დღევანდელ ფავორიტებზე.

## მოლოდინი და რეალიები

**უშიშროებისა** და საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხების შესწავლის ცენტრის ხელმძღვანელი ნიკა ჩიტაძე მიიჩნევს, რომ ის ფაქტი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოიპოვა უპირობო გამარჯვება ადგილობრივი არჩევნების პირველ ტურში, მიუთითებს, რომ ელექტორატის მნიშვნელოვანი ნაწილი მთლად კმაყოფილი არაა პოლიტიკით, რომელსაც საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ახორციელებს. თუმცა, აღნიშნავს ექსპერტი, მიუხედავად „მთელი რიგი შეუსრულებელი დაპირებებისა“, საქართველოს მმართველ კოალიციას კვლავინდებურად აქვს უპირატესობა სხვა პოლიტიკურ ძალებთან შედარებით.

ამავე დროს, პოლიტოლოგის სიტყვებით, ხელისუფლების ერთ-ერთი მიღწევაა ის, რომ არჩევნები მიმდინარეობს სერიოზული დარღვევების გარეშე, რაც უზრუნველყოფს პროცესის დემოკრატიულობას.

Voice of America

# დედამიწის ზურგზე

### ეგვიპტემ შერიგების გეგმა წამოაყენა ახლო აღმოსავლეთში: ისრაელმა მხარი დაუჭირა ინიციატივას, „ჰამასი“ წინააღმდეგი გამოვიდა

**იმის შესახებ, რომ „ჰამასმა“ უარყო ეგვიპტური გეგმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ პალესტინელებსა და ისრაელს შორის ყოვლისმომცველი შეთანხმების დადების გარეშე, განაცხადა ღაზში ისლამური მოძრაობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ფაუზი ბარხუმ. „მშვიდობა შეთანხმების დადების გარეშე გამორიცხულია“, — აღნიშნა მან.**

### ლიბია მსოფლიოს თითქმის მოწყვეტილია: აეროპორტებს უშენენ ცეცხლს და ისინი დახურულია, გაერო თანამშრომელთა ევაკუირებას ახდენს

**სულ ცოტა 2 კაცი დაიღუპა ტრიპოლში ქვეყნის მთავარი აეროპორტის მასობრივი სარაკეტო სროლების შედეგად 15 ივლისის ღამით. პორტში თვითმფრინავების 90 პროცენტი განადგურებულია, დანგრეულია ასაფრენ-დასაჯდომი ზოლი. ბრძოლა აეროპორტისათვის მიმდინარეობს უკვე მესამე დღეა, დაიღუპა და დაზარალდა ათობით ადამიანი. არ მუშაობს ასევე აეროპორტები ბენგაზსა და მისურატში.**

### შოტლანდიაში შეიძლება გაჩნდეს კოსმოდრომი, სადაც მოეწყობა „ექსკურსიები“ კოსმოსური ტურისტებისათვის

**დიდი ბრიტანეთის მთავრობას იმედი აქვს, რომ კომპლექსი საშუალებას მისცემს ქვეყანას განავითაროს კოსმოსური მრეწველობა და თავისი ტერიტორიიდან გაუშვას საკუთარი თანამგზავრები. აი შოტლანდიაში კი იმედი აქვთ, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემთხვევაში, კოსმოდრომი საშუალებას მისცემს „გამოიმუშაოს ფული“.**

### აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა კვლავ ბრალი დასდო რუსეთს უკრაინელი სეპარატისტებისათვის იარაღის მიწოდებაში

**„მიგვაჩნია, რომ რუსეთი აგრძელებს იქ შეიარაღების, მოწყობილობის მიწოდებას, აფინანსებს მათ, შეიარაღებულ პერსონალს აძლევს შესაძლებლობას გადაკვეთოს საზღვრები უკრაინასთან“, — ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ვაშინგტონს აქვს „საიმედო ინფორმაცია“ ამასთან დაკავშირებით.**

# უკონტროლო ხელისუფლება



## ყველა ერს ჰყავს მთავრობა, რომელსაც იგი იმსახურებს

**1848 წელს ევროპის ქვეყნებს „ინდუსტრიული რევოლუციების“ ტალღამ გადაუარა, რაც საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრების აუცილებლობით იყო გამოწვეული. შედეგად, საზოგადოებაში გაჩნდა შეძლებული „საშუალო კლასი“ (მეწარმეები, ვაჭრები, ბანკირები, ტექნიკური, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენცია), რომელიც სასიცოცხლოდ იყო დაინტერესებული ძლიერი სახელმწიფო აპარატის არსებობითა და უკონტროლო ხელისუფლების პოტენციური საფრთხის თავიდან აცილების გარანტიების შექმნით. ამ დაინტერესების გათვალისწინებით და კათოლიკური ეკლესიის მხარდაჭერით, ჩამოყალიბდა სახელმწიფო მოწყობის ზოგად ქრისტიანულ მორალურ-ეთიკურ ფასეულობებზე დამყარებული „ლიბერალური დემოკრატიის“ მოდელი. დაიწყო მისი დამკვიდრება მრავალ ევროპულ სახელმწიფოებში, მათ შორის – მონარქიებშიც.**

ლიბერალური დემოკრატიის საფუძვლებია:

- **ხალხის ძალაუფლება რეალიზებული წარმომადგენლების მეშვეობით;**
- **პოლიტიკური პლურალიზმი, ანუ მრავალპარტიულობა;**
- **კანონის უზენაესობა;**
- **კონსტიტუციით განსაზღვრული ხელისუფლების განაწილება;**
- **ხელისუფლების შტოების ურთიერთშეკავებისა და საპირწონეთა სისტემა.**

ძირითადად, სწორედ ეს ზოგადი პრინციპები დაედო საფუძვლად ევროპული ქვეყნების კონსტიტუციებს. ცხადია, დემოკრატიული მმართველობის მექანიზმები ერთბაშად ვერ დამკვიდრდებოდა. დროთა განმავლობაში იხვეწებოდა სახელმწიფო მართვის ტექნოლოგიაც.

და მაინც, ძალაუფლების ცდუნება იმდენად ძლიერია, რომ ადრე თუ გვიან ხელისუფლების წიაღში (დიდი ალბათობით) იწყება ძალაუფლების კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია, რაც პირველი ნაბიჯებია ტოტალიტარული ან დიქტატორული რეჟიმის ჩამოყალიბებისაკენ.

უკონტროლო ხელისუფლების საშიშროებისგან „საშუალო კლასი“ თავს ბოლომდე დაცულად რომ ვერ გრძნობდა, სწორედ ამიტომ დაიწყო დამატებითი დამცავი მექანიზმების ძებნა. ასე აღმოცენდა „სამოქალაქო საზოგადოების“, იგივე „მეოთხე ხელისუფლების“ კონცეფცია, რომლის თანახმად განვითარებულ არასამთავრობო სექტორს უნდა უზრუნველეყო კონსტიტუციური წესრიგიდან ნებისმიერი სახით გადახრის პრევენცია.

ამ კონცეფციის შინაარსზე სრულფასოვანი მსჯელობის დაწყებამდე, საჭიროდ მიმაჩნია ზოგი „ტექნოლოგიური“ საკითხის დაზუსტება.

## დემოკრატიული მმართველობის ტექნოლოგია

**მკითხველს შევახსენებ, რომ მართვის მეცნიერების (მენეჯმენტის) ერთ-ერთ განშტოებას საჯარო მმართველობა (Public Administration) ეწოდება. ხოლო ზოგადი მენეჯმენტი განიხილავს მმართველობის პროცესს, როგორც ოთხი ძირითადი ფუნქციის ერთობლიობას: *დაგეგმვა – ორგანიზება – მოტივაცია – კონტროლი.***

ამ თვალსაზრისით განვიხილოთ ერთი სრული საპარლამენტო ციკლი.

დემოკრატიული მმართველობის ტექნოლოგიის „ფორმულა“ ასახულია საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლში:

> **„საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს“.**

საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტის საარჩევნო პროგრამა არსებითად არის მინიმუმ ოთხწლიან პერიოდზე გათვლილი **ქვეყნის განვითარების კონცეფცია,** ანუ ზოგადი ხედვა, რომელიც კანდიდატს გამოაქვს ამომრჩევლის სამსჯავროზე, რათა კონცეფციის საფუძველზე შედგეს „სამოქალაქო **კონტრაქტი“**. კონტრაქტში აისახება, ერთი მხრივ, კანდიდატის კონკრეტული, „გაზომვადი“ და დროში გაწერილი ვალდებულებები, ხოლო მეორეს მხრივ — ხმის მიცემით დადასტურებული ამომრჩევლის ინფორმირებული არჩევანი.

ხალხს, როგორც *„სახელმწიფო ხელისუფლების წყაროს“ (მუხლი 5)*, აქვს სამართლებრივი ურთიერთობა მხოლოდ თავისივე წარმომადგენლებთან, რომლებიც, **ძალაში შესული სამოქალაქო კონტრაქტის** პირობების თანახმად, უფლებამოსილი არიან ოთხი წლის განმავლობაში მართონ ქვეყანა. პარლამენტის წევრი (ხალხის წარმომადგენელი) არის **ხალხის რჩეული,** სულ 150 კაცი (+1 პრეზიდენტი). მათ გააჩნიათ პირდაპირი **ლეგიტიმაცია** და, შესაბამისად, სრული **უფლებამოსილება, აღასრულონ ხალხის ნება**. ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ჩინოვნიკი, პრემიერ-მინისტრის ჩათვლით, არის **ხალხის მსახური,** იგივე საჯარო მოხელე (მოსამსახურე). ამასთანავე, **საჯარო სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი რეგლამენტაცია არის პარლამენტის პრეროგატივა** (ექსკლუზიური უფლებამოსილება). კერძოდ, საჯარო მოხელეს ან მოსამსახურეს ხელფასისა და სამუშაო პირობების **ხარჯების დაფინანსების,** აგრეთვე პროფესიული ვარგისიანობის (კვალიფიკაცია+ეთიკა) **კრიტერიუმების განსაზღვრა** ხორციელდება ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ **კანონებით.**

შესაბამისად, პარლამენტს (უმრავლესობასაც და უმცირესობასაც) ეკისრება **სრული პოლიტიკური პასუხისმგებლობა** ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, მათ შორის, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში **კანონის უზენაესობის** უზრუნველყოფაზე.

აქედან გამომდინარე, პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩეველს ჰქონდეს **ინფორმირებული** არჩევანის საშუალება. სხვა შემთხვევაში, დემოკრატიული არჩევნები, იდეალურად ჩატარებულიც კი, ტოტალიზატორს დაემსგავსება.

ამომრჩევლის პატივისმცემელი და პასუხისმგებლიანი პარტიის საარჩევნო პროგრამაში ზოგადად უნდა იყოს ასახული, თუ როგორ აპირებს (გამარჯვების შემთხვევაში) ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას, რისი უფლების ლეგიტიმაციასაც იგი ითხოვს ამომრჩევლისგან. ეს მიმართულებებია:

- **საგარეო-პოლიტიკური (დიპლომატია, უშიშროება, ჯარი);**
- **სამართლებრივი (კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, მართლმსაჯულება);**
- **ეკონომიკური (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, საგარეო ვაჭრობა, გადასახადები);**
- **სოციალური (განათლება, მეცნიერება, კულტურა, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა) და ა.შ.**

კონსტიტუციის 52-ე მუხლის თანახმად, *„საქართველოს პარლამენტის წევრი არის **სრულიად საქართველოს წარმომადგენელი“.*** ეს კი ნიშნავს, რომ ახლადარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისთანავე მთავრდება საპარლამენტო ციკლის პოლიტიკური ნაწილი და იწყება „ტექნოლოგიური“.

საპარლამენტო უმრავლესობის კონცეფცია, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში უკვე შეთანხმებულია და აქედან გამომდინარე, გააჩნია მაღალი ლეგიტიმაცია, არის საპარლამენტო განხილვის საფუძველი, რომლის მსვლელობისას პარლამენტის ყველა წევრი, განურჩევლად პარტიულობისა, მოწოდებულია, იზრუნოს ცალკეული დებულებების დახვეწაზე, რათა საბოლოო ჯამში შემუშავდეს და დამტკიცდეს **ქვეყნის განვითარების სტრატეგია**.

ქვეყნის განვითარების **დამტკიცებული** სტრატეგია არის იურიდიული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს **მმართველი გუნდის პოლიტიკურ ნებას და პასუხისმგებლობას;** განსაზღვრავს იმ ძირითადი მიმართულებების, პრიორიტეტებისა და შეფასების კრიტერიუმების ჩამონათვალს, რითაც მთავრობამ თავის გრძელ და მოკლევადიანი სამუშაო გეგმების ჩამოყალიბებისა და ანგარიშგების დროს უნდა იხელმძღვანელოს. კონსტიტუციის შესაბამისად, მთავრობა უზრუნველყოფს *„ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას“;* აგრეთვე, *„მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე“* (მუხლი 78).

მენეჯმენტის თვალსაზრისით, აქ მთავრდება *დაგეგმვის* და იწყება *ორგანიზების* ფაზა.

**სტრატეგიის განხორციელების** სრულფასოვან უზრუნველყოფას, ანუ **საკანონმდებლო ხელისუფლებას,** პარლამენტი ახორციელებს მის ხელთ არსებული საკანონმდებლო, საბიუჯეტო და ადმინისტრაციული ბერკეტების მეშვეობით :

- **საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროების განსაზღვრა;**
- **საბიუჯეტო დაფინანსების მოცულობის განსაზღვრა;**
- **აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის დამტკიცება და სხვა.**

აღმასრულებელი ხელისუფლების *მოტივაცია* განისაზღვრება „საჯარო სამსახურის შესახებ“ ორგანული კანონით.

ზოგადი მენეჯმენტი განმარტავს *კონტროლის* ფუნქციის სამ შემადგენელ ნაწილს, რაც სქემატურად ასე აისახება:

კონტროლი = სტანდარტების (შეფასების კრიტერიუმების) შემუშავება ( არსებული მდგომარეობის სტანდარტებთან შესაბამისობის პერიოდული შეფასება + საჭიროებისდა მიხედვით, დანარჩენი სამი ძირითადი მმართველობითი ფუნქციის კორექტირება, რათა პროცესი დაბრუნდეს გეგმის ჩარჩოში.

## დემოკრატიული დიალოგი სამოქალაქო საზოგადოებაში

**არსებობს დემოკრატიის, სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო სექტორის მრავალი განსხვავებული განმარტება.** ჩემი აზრით, არასამთავრობო სექტორი არის მაღალი სოციალური, კულტურული, მორალური, ეკონომიკური მდგომარეობის (სტატუსის) ადამიანების, აგრეთვე ნებაყოფლობით ჩამოყალიბებული ასოციაციებისა და ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი სხვა ორგანიზაციების ერთობლიობა, რომელთაც გააჩნიათ სათანადო **მზადყოფნა და კომპეტენცია, აწარმოონ სამართლებრივი ურთიერთობები პარლამენტთან,** რათა უზრუნველყოფონ **„სამოქალაქო კონტრაქტის“** პირობების დაცვა.

ხალხსა და ხელისუფლებას შორის **დემოკრატიული დიალოგის სამართლებრივი საფუძველია** ქვეყნის განვითარების დამტკიცებული სტრატეგია. ამ დიალოგს სწორედ არასამთავრობო სექტორი წარმართავს.

დემოკრატიული დიალოგის თემას ზოგადად უკვე შევეხეთ წინა წერილში („საჯარო ინფორმაციის თავისუფლება“, №121, 2014-06-25), მაგრამ ვფიქრობ, აუცილებელია მსჯელობის გაგრძელება. ამასთანავე, საჭიროა „დიალოგის ენის“ ცოდნაც, რათა კანონმდებლობის შინაარსი ხალხისათვის გასაგები გახდეს. თორემ, როცა ხალხს „არ ესმის“, უკონტროლო ხელისუფლება თავს „კოჰაბიტაციური შალახოთი“ იწონებს.

**სულიკო ედიშერაშვილი**

### ◎ ალიანჩალიანი

#### აღადგენენ ფშაველი-აბანო-ომალოს საავტომობილო გზას

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, პროექტის ღირებულება 3 მილიონ 663 ათას 116 ლარს შეადგენს. სამუშაოებს შპს საგზაო-სამშენებლო-სარემონტო კომპანია „სერპანტინი“ ასრულებს.**

**საავტომობილო გზის 8კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2014 წლის 4 აპრილს დაიწყო და წლის ბოლომდე დასრულდება. ამ დროისთვის რეციკლირების, ასფალტის საფარის დაგების და მონაკვეთზე არსებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.**

**ფშაველი-აბანო-ომალოს საავტომობილო გზა სტრატეგიული მნიშვნელობისაა. იგი სოფელ ფშაველის საავტომობილო გზის ასმეტა-ყვარელი-ნინიგორი-ლაგოდეხის მარცხენა მიერთების 22-ე კმ-ზე იწყება და სოფელ ლეჩურის ტერიტორიაზე მთავრდება. აღნიშნული გზა ერთადერთ დამაკავშირებელ გზას წარმოადგენს დაბა ომალოსთან და უნიკალური ტურისტული მნიშვნელობის ტერიტორიებთან. შესაბამისად გზა გამოიყენება, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე ტურისტული დანიშნულებით.**

#### სტიქიით დაზარალებულ სოფლებში დროებითი დამბები მოეწყობა

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის სტიქიით დაზარალებული სოფლების ხევებში, უახლოეს დღეებში, დროებითი დამბები მოეწყობა. ამ და სხვა პრევენციული ზომების გატარება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების ერთობლივ თათბირზე გადაწყდა.**

**სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების დეპარტამენტის უფროსის ავთანდილ სუდაძის განცხადებით, „ეს პირველადი ღონისძიება საჭიროა იმისთვის, რომ ძლიერი ნალექის განმეორების შემთხვევაში, წყალი მოსახლეობას სახლებში არ შეუვარდეს“. გუშინ მოსული ძლიერი წვიმის შედეგად ადიდებულმა ორმა ხევმა ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფლებში — სასაშში, უაჰუნდერში, ჩეკულსა და მელეში მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები, სახლების პირველი სართულები დატბორა და ცენტრალურ გზაზე ნაშალი ჩამოიტანა. ამ წუთისთვის ცენტრალური გზა სრულად გაწმენდილია. ხორციელდება მოსახლეობის დახმარების ღონისძიებები.**

**ინტერპრესი**

◎ ჭადრაკი

# მელია ლიდერს წამოეპარა

**პლოვდივში მოჭადრაკე ქალთა მე-15 ინდივიდუალურ ევროპის ჩემპიონატზე ერთდღიანი შესვენების შემდეგ მე-8 ტურის პარტიები გაიმართა.** ევროპის 2012 წლის ჩემპიონმა ვალენტინა გუნინამ (რუსეთი) ლელა ჯავახიშვილს თეთრი ფიგურებით აჯობა და ტურნირზე ზედიზედ მეშვიდე გამარჯვების შემდეგ 7.5 ქულით ერთპიროვნულად მეწინავეობს. ლიდერს ქულით ჩამორჩება ევროპის პირველობის შარშანდელი ვერცხლის პრიზიორი სალომე მელია, რომელმაც ოლგა გირიას (რუსეთი) მოუგო და 6.5 ქულით მეორე ადგილზეა. შავი ფიგურებით ნინო ბაციაშვილი ორგზის ევროპის ჩემპიონ ტატიანა კოსინცევას ყაიმზე შეუთანხმდა. ჩვენებურთა დანარჩენი პარტიები ასე დასრულდა:, ნანა ძაგნიძე-ადრიანა ნიკოლოვა (ბულგარეთი) 0.5:0.5, სოფიო გვეტაძე-ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) 0:1, იულია კოჩეტკოვა (ხორვატია)-ნინო ხურციძე 0:1, ირინა ვასილევიჩი (რუსეთი)-მერი არაბიძე 0:1, სოფიკო გურამიშვილი-მარია მანაკოვა (სერბეთი) 0.5:0.5, ანასტასია პარამზინა (რუსეთი)-მადონა ბოკუჩავა 0.5:0.5.

**რვა ტურის შემდეგ:** გუნინა — 7.5, მელია — 6.5, ბაციაშვილი, ჯავახიშვილი, კოსინცევა, დანიელიანი, ჟუკოვა — 6-6, ხურციძე, არაბიძე — 5.5-5.5, ძაგნიძე — 5, გვეტაძე — 4.5, გურამიშვილი — 4, ბოკუჩავა — 2.5 ქულა.

**ლაშა დიდია**

**სურათზე: სალომე მელია.**

# ქართველი სენიორები გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატში ჩაებნენ

**ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში სტარტი აიღო მსოფლიოს გუნდურმა პირველობამ სენიორ-მოჭადრაკეთა შორის. ჩემპიონატში შვეიცარული სისტემით 29 გუნდი თამაშობს.**

**საქართველოდან 50 (ტურნირში ქალთა გუნდი ასპარეზობს: ნონა გაფრინდაშვილი (2300), თამარ ხმიადაშვილი (2076), ციალა ქასოშვილი (2144) და ნინო მელაშვილი (2127).**

პირველ ტურში ჩვენმა მანდილოსნებმა ახალი ზელანდიის ნაკრები დაამარცხეს ანგარიშით — 3:1. პარტიები მოიგეს თეთრი ფიგურებით მოთამაშე გაფრინდაშვილმა და ქასოშვილმა, ფრედ დაასრულეს შეხვედრა შავი ფერის ფიგურებით — ხმიადაშვილმა და მელაშვილმა.

მეორე ტურში ქართველ ქალებს ინგლისის უძლიერეს ვაჟთა გუნდთან მოუწიათ შერკინება და 1.5:2.5 წააგეს. პარტიები დათმეს ხმიადაშვილმა და მელაშვილმა, ქასოშვილმა გაცილებით ძლიერ მეტოქეს აჯობა, გაფრინდაშვილმა კი ყაიმი დააფიქსირა.

ამ დროისთვის, ქართველი მოჭადრაკეების აქტივში 2 ქულაა და ისინი მე-6 ადგილზე იმყოფებიან. მე-3 ტურში ქართული კვარტეტი ნორვეგიას დაუპირისპირდება.

◎ ჩოგბურთი

# განახლებული რეიტინგით

**ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ასოციაციამ (WTA) წინა კვირის შედეგების გათვალისწინებით განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა. მოწინავე ორასეულში შეინარჩუნა ადგილი სოფიო შაფათავამ. განსაკუთრებით იყოჩაღა მარიამ ბოლქვაძემ, რომელიც 196 საფეხურით დაწინაურდა. სულ ტურნირში ითამაშებს პოლონელ პაულა კანიასთან ერთად. ქართველ-პოლონელი დუეტი პირველ წრეში უკრაინელ დებს — ლიუდმილა და ნადია კიჩენოკებს დაუპირისპირდება.** ჩეხეთის ქალაქ ოლომოუცის საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი) ძირითად ბადეშია სოფიო შაფათავა, ეკატერინე გორგოძე კი ძალებს გერმანულ 25.000-იან ტურნირში მოსინჯავს. ამ ასპარეზობის კვალიფიკაციაში იბრძოდა სოფიო ქვაცაბაია. პირველ წრეში მან მასპინძელი მიშელ იანისი დაამარცხა - 6:0, 6:0, მაგრამ მომდევნო შეხვედრა სლოვაკ ზუზანა ლუკნაროვასთან წააგო - 4:6, 1:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა. იტალიურ იმოლაში 15.000-იანი ტურნირის სტარტზე მაკა ჩახნაშვილი-რანცინგერი გერმანელ ლუიზა მარი ჰუბერთან გაარკვევს ურთიერთობას..

**კლასიფიკაციაში შვიდი ქართველია: 198 (199), სოფო შაფათავა — 290 ქულა; 327 (332), ეკატერინე გორგოძე — 124; 353 (356), ოქსანა კალაშნიკოვა — 110; 493 (498), სოფო ქვაცაბაია — 65; 631 (609), მაკა ჩახნაშვილი-რანცინგერი — 39; 874 (1069), მარიამ ბოლქვაძე — 16; 1265 (1269), თამარ ჭალაგანიძე — 3.**

მიმდინარე კვირას ქართველი ჩოგბურთელები ახალ საერთაშორისო ტურნირებში ჩაებმებიან. ოქსანა კალაშნიკოვა, რომელსაც წყვილთა რეიტინგში 63-ე პოზიცია უკავია, სტამბულის 250-ათასიან

საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა გუნდის ლიდერი ნიკოლოზ ბასილაშვილი პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) რეიტინგის მოწინავე ორასეულში შევიდა და 254 ქულით 198-ე ადგილზეა. ამჟამად ბასილაშვილი იტალიაშია და 35.000-იან ტურნირის სასტარტო შეხვედრას ხორვატ მატე პავიჩთან გამართავს.

**გივი გაგუა**

◎ წყალბურთი

# სტარტი — რუმინეთით

**14 ივლისს ბუდაპეშტში წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყება. მედლებისთვის კონტინენტის 12 უძლიერესი ნაკრები იბრძოლებს.**

**A ჯგუფი**. ჩერნოგორია, იტალია, საბერძნეთი, რუმინეთი, რუსეთი, **საქართველო**.

**B ჯგუფი**. სერბეთი, უნგრეთი, გერმანია, ხორვატია, საფრანგეთი, ესპანეთი.



უნგრეთში ჩასვლამდე ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა (ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა კაპანაძე, ბექა ქავთარაძე, ზურაბ რურუა (კაპიტანი), მიხეილ ბაღათურია, გიორგი ხვედელიანი, კონსტანტინე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, დამირ ცრეპულია, მარინო ფრანიჩევიჩი, მარკო ელეზი, მარკო ელაჩა, ალექსანდრე რუსიშვილი, ანდრია ბითაძე (სათადარიგო). მთავარი მწვრთნელი: **ვლადიმერ ისელიძე,** მწვრთნელი: იოვან პოპოვიჩი. ბოლო საწვრთნელი შეკრება ჩერნოგორიაში გაიარა. ქართველი წყალბურთელები დღეს ბუდაპეშტში ჩავლენ. ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის პირველ ორთაბრძოლას რუმინელებთან გამართავენ. კონტინენტის პირველობა 27 ივლისს დასრულდება.

**A ჯგუფის კალენდარი**

**14 ივლისი**. რუმინეთი — **საქართველო** 15 საათი (თბილისის დროით), ჩერნოგორია — საბერძნეთი, იტალია — რუსეთი.

**15 ივლისი**. **საქართველო** — საბერძნეთი (13:30), რუსეთი — ჩერნოგორია, რუმინეთი — იტალია.

**17 ივლისი**. საბერძნეთი — რუსეთი, იტალია — **საქართველო** (13:30), ჩერნოგორია — რუმინეთი.

**19 ივლისი**. **საქართველო** — რუსეთი (15), რუმინეთი — საბერძნეთი, იტალია — ჩერნოგორია.

**21 ივლისი**. რუსეთი — რუმინეთი, საბერძნეთი — იტალია, ჩერნოგორია — **საქართველო** (13:30).

**ლაშა დიდია**

**სურათზე: საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები.**

◎ ჭიდაობა

# ბაზალეთსა და წახკაძორში ემზადებიან

**წლეულს მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი 8-14 სექტემბერს ტაშკენტში გაიმართება. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადებიან ქართველი ფალავნები. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრები 10 ივლისიდან ბაზალეთზე იმყოფება შეკრებაზე.**



ჩვენებთან ერთ ობლივ წვრთნას გადიან ყაზახეთის, ყირგიზეთის, შვეიცარიისა და ისრაელის გუნდები, თანაც ყაზახები, რომლებსაც ათენის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი გიორგი წურწუმია ავარჯიშებს, სამი შემადგენლობით ჩამოვიდნენ. ქართველთა მთავარი მწვრთნელის — ბეგი დარჩიას განკარგულებაშია ნაკრების უკლებლივ ყველა ლიდერი. საბედნიეროდ, სერიოზული ტრავმაც არავის აწუხებს. ჩვენები ბაზალეთიდან ბაქოში გაემგზავრებიან, სადაც 25-27 ივლისს ჰეიდარ ალიევის სახელობის „ოქროს გრან პრის“ ფინალურ ტურნირში იჭიდავებენ. აზერბაიჯანის დედაქალაქში ძალებს მოსინჯავენ ლაშა გოგიტაძე, გოდერძი დავითაძე (ორივე - 59), რევაზ ლაშხი, საჩინო დავითაია (66), მანუჩარ ცხადაია, მინდია წულუკიძე (71), ზურაბ დათუნაშვილი (75), გიორგი ცირეკიძე (80), ვლადიმერ გეგეშიძე, რობერტ კობლიაშვილი (ორივე — 85), ვასილ იმერლიშვილი, სოსო ჯაბიძე (98), იაკობ ქაჯაია და შოთა გოგისვანიძე (130). დარჩიას სურვილია, ამ სიას კიდევ ოთხი ფალავანი დაამატოს: ხვიჩა ჭითავა (59), გიორგი ჯავახია (71), ილია გულბათაშვილი (75) და ნიკოლოზ კახელაშვილი (98). მსოფლიოს პირველობამდე ქართველი „კლასიკოსები“ სხვა ტურნირში აღარ გამოვლენ. სამაგიეროდ, ტაშკენტამდე შეკრებაზე წავლენ ბელარუსში, „სტაიკების“ ოლიმპიურ ბაზაზე, მზადების დასკვნით ეტაპს კი ბორჯომში გაივლიან.

საწვრთნელ შეკრებაზე წახკაძორში (სომხეთი) არიან თავისუფალი სტილით მოჭიდავეები. 19-20 ივლისს ისინი სომხეთშივე, ქალაქ ვანაძორში სტეფან სარგსიანის თასზე იჭიდავებენ. ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რევაზ მინდორაშვილმა შეკრებაზე სრული გუნდი წაიყვანა: ვლადიმერ ხინჩაგაშვილი, ოთარ გოგავა (ორივე-57), ბექა ლომთაძე (61), მალხაზ ზარქუა (65), ალექსანდრე ჯაჭვაძე (70), ჯუმბერ ყველაშვილი (74), დავით მარსაგიშვილი, გიორგი ჩხარტიშვილი (ორივე-86), ელიზბარ ოდიკაძე (97), გენო პეტრიაშვილი, გიორგი საკანდელიძე (125). 25-27 ივლისს ბაქოში ეს გუნდიც გამოვა, თუმცა, გაცილებით მცირერიცხოვანი შემადგენლობით. აზერბაიჯანში წამსვლელთა ვინაობა მოგვიანებით დაზუსტდება.

**ლექსო ციცაძე**

◎ ფეხბურთი

# სუარესი ბარსელონაშია

**URUGVAI-ის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი, ლუის სუარესი, ბარსელონაში ჩაფრინდა, რათა ახალ კლუბთან ხელშეკრულება გააფორმოს.**

Sky Sports-ის ცნობით, 27 წლის ფეხბურთელი „ბარსელონასთან“ სულ მალე მოაწერს ხელს. აღნიშნული ტრანსფერი კატალონიელებს 70 მილიონი გირვანქა დაუჯდათ.

შეგახსენებთ, რომ სუარესს ოქტომბრის ბოლომდე გუნდთან ერთად ვარჯიშის უფლება არა აქვს. სწორედ ამ დროს გასდის ვადა ურუგვაელის ოთხთვიან დისკვალიფიკაციას, რომელიც მან მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯორჯო კიელინის კბენისთვის მიიღო.

სუარესი „ბარსელონაში“ „ლივერპულიდან“ გადავიდა. ლივერპულელთა შემადგენლობაში, ურუგვაელმა გასულ სეზონში პრემიერლიგაში 33 შეხვედრა ჩაატარა და თავი 31 გოლითა და 13 შედეგიანი გადაცემით გამოიჩინა.



◎ ინტერნეტიდან



# რომაული დერბი გლადიატორის არენაზე

**როგორც იცით, რამდენიმე წლის წინათ, იტალიური „რომას“ ლეგენდარული კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი რეკლამაში გადაიღეს, სადაც ეს უკანასკნელი რომაელი გლადიატორის შესამოსელში იყო ჩაცმული. როგორც ჩანს, რომაელი ფეხბურთელებისა და გლადიატორების თემა უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებულად აქტუალურია.**

ერთ-ერთი იტალიური კომპანია, რომელიც ძველი ეპოქის ბრძოლების ინსცენირებულ ანალოგებს დგამს ხოლმე, ქალაქ რომის გუნდების: „რომას“ და „ლაციოს“ ხელმძღვანელებს დაუკავშირდა და შესთავაზა, გარკვეული ანაზღაურების საფასურად, მათი ფეხბურთელები გლადიატორთა ინსცენირებულ ბრძოლებში გამოეყენებინათ.

სხვათა შორის, ასეთ თეატრალურ ბრძოლებს ბევრი მაყურებელი ჰყავს და ცოტა ხნის წინათ მათში ქართველმა მებრძოლებმა — „შავფაროსნებმაც“ მიიღეს მონაწილეობა. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ სულ მალე, რომაული დერბი გლადიატორთა არენაზე გადაინაცვლებს.

◎ მოხსენიული „რეკორდი“

# „დანიშნულების“ ქვეყნიდან – დაკავებლამდე

## ნარკოტიკების ტრანზიტი და საქართველო

**დიდი ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერების ამოღების გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ პრემიერ-მინისტრის მაღალი შეფასება დაიმსახურა. საერთაშორისო ნარკოდანაშაულის გამომჟღავნება ქვეყნის იმიჯის განმტკიცების ხელშემწყობ ფაქტორად განიხილება. როგორია ნარკოტიკების გადაადგილების საქართველოზე გამავალი მარშრუტი, რამ შეიძლება გააუარესოს ვითარება და რა როლს თამაშობენ ოკუპირებული ტერიტორიები?**

**სამ ტონამდე თხევადი ჰეროინი სამართალდამცველებმა საქართველოში სატვირთო ავტომობილის ჩხრეკისას აღმოაჩინეს. ნარკოტიკული ნივთიერება, რაც 80% სუფთა ჰეროინს შეიცავს, 30-კილოგრამიან პლასტმასის ბიდონებში სარეცხი საშუალების იარლიყით იყო დაფასოებული. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ „სატვირთო ავტომობილი საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან შემოვიდა და თურქეთის მიმართულებით მოძრაობდა“. ამ ფაქტის გამო დაკავებულია საქართველოს ორი მოქალაქე.**

საერთაშორისო ნარკოტრანზიტის ფაქტის გამოვლენა, ანუ ახალი რეკორდის დამყარება, პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა მთელ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძეს 14 ივლისს მთავრობის სხდომაზე მიულოცა:

**„მართლაც დასაფასებელია ის მუშაობა, რომელსაც თქვენი უწყება ახორციელებს და კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკური ნება არსებობს, რომ ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა იყოს მართლაც უკომპრომისო. გასულ წლებში ჩვენ არასოდეს არ გვინახავს არათუ მსგავსი, არამედ მიახლოებული ოდენობის ნარკოტიკების ამოღების ფაქტი. ჩვენ შარშან ამოვიღეთ 116 კილო, რაც იყო რეკორდული. ახლა უკვე ლექსომ (ალექსანდრე ჭიკაიძემ) მოხსნა ეს რეკორდი“.**

მასშტაბური საერთაშორისო ნარკოდანაშაულის გამომჟღავნებას, ირაკლი ღარიბაშვილის მსგავსად, საქართველოს საერთაშორისო იმიჯის განმტკიცების წინაპირობად განიხილავენ ექსპერტებიც. საქმე ის არის, რომ ნარკოტიკების საერთაშორისო კონტროლის სტრატეგიის შესახებ შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებში საქართველო უკვე წლებია მოხსენიებულია როგორც „სატრანზიტო“, ასევე „დანიშნულების“ ქვეყნად. ამავე წყაროს ცნობით, ნარკოტრანზიტის ყველაზე მნიშვნელოვანი მარშრუტი ავღანეთიდან და ირანიდან მოდის და, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით, დასავლეთ ევროპისკენ მიემართება. ვითარების შედარებითი გაუმჯობესება აღინიშნება 2014 წლის ანგარიშის თანახმად და ეს საზღვრებზე კონტროლის შედარებით გამკაცრებას მიეწერება. ამ კონტექსტში დიდ მიღწევად მიიჩნევა ის ფაქტი, რომ 2013 წლის ივლისში საქართველოში პოლიციამ 116 კილოგრამი ჰეროინი აღმოაჩინა.

საერთაშორისო ნარკოტრანზიტის ჭრილში საქართველოს არცთუ სახარბიელო იმიჯს, წინა წლების ტენდენციის - სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის - კვალდაკვალ, სავაჭრო ტვირთბრუნვის გაზრდას უკავშირებს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პოლიციის გენერალ-მაიორი ჯემალ ჯანაშია. როგორც მან უთხრა რადიო „თავისუფლებას“, ზოგადად ტვირთბრუნვის გაზრდა დადებითი მოვლენაა, მაგრამ ამ პროცესს კონტროლის გაზრდაც უნდა ახლდეს თან. ექსპერტის აზრით, ვითარება დამძიმდება იმ შემთხვევაში, თუკი შესაბამისი კონტროლის გარეშე განხორციელდება საქართველოს მთავრობის ახალი ინიციატივა, რომ ოკუპირებული ტერიტორიების სიახლოვეს ერგნეთის ბაზრობის ტიპის მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრები ამოქმედდეს. უკანონო პროცესებში შესაძლოა, ასეთ შემთხვევაში რუსეთიც ჩაერთოს:

**„ამ შემთხვევაში ამუშავდება ჩრდილოეთის ვექტორი. სომხეთის ვექტორმა იმუშავა გასულ წელს, შემდეგ იმუშავა აზერბაიჯანის ვექტორმა... ჩრდილოეთის ვექტორი რამდენიმე ნაწილად არის დაყოფილი. ერთ-ერთია ვლადიკავკაზი-ყაზბეგის მიმართულება. თუმცა, უფრო კარგად იმუშავებს როკის გვირაბი-ცხინვალის ტერიტორია და შემდეგ უკვე თბილისისკენ და დასავლეთისკენ... ამიტომ ამ ვექტორზე ოპერატიული სამსახურების გაძლიერებაა საჭირო“.**

გასული კვირის მიწურულს მასშტაბური საერთაშორისო დანაშაულის გამოვლენას საქართველოში მასშტაბური საერთაშორისო ოპერაციის ნაწილად – ანუ საზღვრებს გარედან გამოგზავნილი სიგნალის შედეგად – მიიჩნევს გიორგი ღლონტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პრორექტორი, სამართლის დოქტორი, პროფესორი. თუმცა, როგორც ის ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, ამით არ კნინდება ადგილობრივი სამართალდამცველების ღვაწლი:

**„თუ ასეთი ფორმით თანამშრომლობა არსებობს და ერთობლივი ძალებით უტევენ, ამას რა სჯობია... ამ ტიპის დანაშაულის გახსნა ძალიან რთულია და თუკი მაქსიმუმ 5 პროცენტი ხვდება პოლიციის ხელში, ესეც დიდი წარმატებაა“.**

გიორგი ღლონტი, სხვა ექსპერტების მსგავსად, ფიქრობს, რომ ბოლოს აღმოჩენილი 3 ტონამდე ნარკოტიკული ნივთიერებიდან საქართველოს შიდა ბაზრისთვის არაფერი იქნებოდა გამიზნული, რადგანაც, საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, ასეთი დიდი მოცულობის ტვირთი, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხელუხლებლად ჩადის დანიშნულების ადგილამდე. ამასთან, ექსპერტების შეფასებით, ჰეროინზე, ძირითადად სიძვირის გამო, უკვე წლებია, მოთხოვნა ქართულ ბაზარზე ძალიან მცირეა.

**ლელა კუნჭულია,**
**რადიო „თავისუფლება“**

**მეუღლე ვილენ (ვილი) გაბაშვილი, შვილები კონსტანტინე (კოტე), ქეთო გაბაშვილები, რძალი ინნა სარალიძე, შვილიშვილები ნატალია, გიორგი გაბაშვილები, ალექსანდრე (სანდრო), გიორგი პშენიჩნიკოვები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ნატალია**
**გაბაშვილი-გედე**

**პანაშვიდი 15, 16 VII, 18 სთ. მისამართი: ნუცუბიძის ქ. №30. გამოსვენება კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიიდან. 17 VII, 14 სთ.**

**ციალა, ნატა, თემურ ანდრიაძეები ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ბატონი ვილი გაბაშვილის მეუღლე**

**ნატალია გაბაშვილი**

**და თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ოჯახს.**

**თბილისის პირველი საშუალო სკოლის ყოფილი მოსწავლეები იუწყებიან თანაკლასელის, დიდებული პიროვნების და მეგობრის**

**ჯემალ გუჩმაზაშვილის**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს**

**დიტო ტყეშელაშვილი, ბიჭი კანდელაკი, ჯემალ გაბისონია, ანზორ ზარძუა, ვაჟა ჩაგანავა, რეზო ბოკერია, ნუგზარ კუკულაძე, რობერტ მიხელაშვილი, თენგიზ ბურდული, გოგი ელისაბედაშვილი, ვაჟა ჯაფარიძე, ჯემალ გაბეჩავა, მამია მახარაძე, თენგიზ დავლიანიძე, თენგიზ მიძაბერიძე, ბიჭი ღონღლაძე, ჟორა ცატუროვი.**

◎ კრიმინალი

## განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღეს

**შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰერიონი ამოიღო. შსს-ს ინფორმაციით, სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1983 წელს დაბადებული მამუკა ა. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.**

**სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 26 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 10,2177 გრ ჰეროინს შეიცავს.**

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2014 წლის 25 ივლისს 18.00 საათზე შედგება სს „საქტელეფონმშენის“ აქციონერთა რიგითი კრება

**დღის წესრიგი:**

1. 2013 წლის შედეგების განხილვა.

**ადმინისტრაცია**

◎ სიცოცხლის ნიშანი უბრუნდება

# წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალი ქარი

**ამ ბოლო დროს კურორტ წყალტუბოს ნელა, მაგრამ თანდათან უბრუნდება სიცოცხლის ნიშატი. ეს არა მარტო იმ ქუჩებში იგრძნობა, რომლებსაც უკვე ასდით ახალდაგებული ასფალტის ოხშივარი, არამედ უამრავ სხვა წვრილმანსა თუ მსხვილმანშიც. მათ შორის იმ რამდენსამე ახალაშენებულ სასტუმროშიც, რომლებსაც დამსვენებლები დღითი დღე ემატება.**

ამ მხრივ გამონაკლისი არც „წყალტუბო-პლაზაა“, რომელმაც თავის სტუმრებთან ერთად რიონისპირა ქალაქის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მრავალრიცხოვან ოსტატსა და მოყვარულს უმასპინძლა და უნიჭიერესი მრავალმხრივი შემოქმედის – **თემურ ძიძიგურის** მხატვრობა და გამოყენებითი ხელოვნების აღიარებული ოსტატის – **თევდორე ბიჩინაშვილის** ნაწარმოებები გააცნო.

გამოფენის დამთვალიერებლებს დიასახლისობდა სასტუმროს მენეჯერი **თამარ ურუშაძე.** მასთან ერთად საინტერესო „ტანდემის“ შემოქმედებასა და მრავალმხრივობით გამორჩეულ მოღვაწეობაზე ისაუბრეს დავით კაკაბაძის სახელობის ქუთაისის სამხატვრო გალერეის დირექტორმა **ელისო ჩოგოვაძემ,** წყალტუბოში ბევრი საინტერესო ნაგებობის ხუროთმოძღვარმა, არქიტექტურის რაინდმა გივი თოდაძემ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ჩამოსულმა სტუმარმა **ელენე შრო-**

**დერმა,** რომელმაც სიტყვა ქართულად წარმოთქვა.

– იმ დღეებში, როდესაც მავანი შეეცადა, რომ ჩვენი წინაპრები დაგვევიწყებინა და პასპორტებიდან მამის სახელი ამოგვიგდო, „გვიშტიბელმა ბოკაჩომ“,სულგანათლებულმა **ოტია იოსელიანმა** მთხოვა: „იმ უმსგავსობისა გამო, ჩვენი ვაიპოლიტიკოსები რომ ეროვნებასა და მამის სახელს გვედავებიან;წარმომავლობის შეუვალობისათვის, გალაკტიონის არ იყოს: „წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქართული“, გთხოვთ ამიერიდან ასე მოიხსენიოთ ჩემი პიროვნება: ოტია შალვას ძე, შალვა ფარნაოზის ძე, ფარნაოზ ბიჭიას ძე იოსელიანი“. – შე,თხვევით არ გაიხსენა გაზეთის „სარკმელი საქართველოსი“ რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარემ **ალექსანდრე შენგელიამ,** რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა რომ ორივე ავტორის შემოქმედება ღრმა ეროვნული ფესვებით საზრდოობს, ამიტომ თვალნათლივია, საით მიდის მათი გზა, რომელიც ქართულია და კარგია.

როგორც ამ საინტერესო ღონისძიების პროექტის ავტორმა **პაატა ცივაძემ** აღნიშნა, ეს გამოფენა

თვის ბოლომდე გასტანს, ამასთან გამონაკლისი არ იქნება. მას ჩაენაცვლება **ასლან მუშკუდიანის** ქანდაკებები, **რომეო ლეკვეიშვილის** ფერტილოები, **გიორგი გამთენაძის** გრაფიკა, აგრეთვე ბერძნული და იტალიური სამზარეულოს კვირეულები...

* * *

ზუსტად ასი წლის წინათ ქუთაისმა და მისმა შემოგარენმა ახალი სისხლი გადაუსხეს საქართველოს და „ცისფერი ყანწებით“ შესვეს მისი მარადიულობის სადღეგრძელო.

ღმერთმა ინებოს, ამჯერადაც ჭეშმარიტად ეროვნული სიტყვა გეთქვას, წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო!

**მურთაზ კანკაძე,**
**გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ მთავარი რედაქტორი**

**სურათებზე: კადრები გამოფენიდან.**

**ავტორის ფოტო.**

◎ გვეკითხებიან – ვუპასუხებთ

# ვინ არის ყველაზე მსუქანი და გრძელი?

**მოვისმინე, რომ ჩინეთის მოსახლეობამ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში სიმაღლეში 2 სანტიმეტრი მოიმატა და წონაშიც მოიმატა. საინტერესოა, რომელი ერია მსოფლიოში ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი, ყველაზე სქელი და ყველაზე „ტანკენარი“?**

**ვაშა, სიღნაღი**

ახალი გამოკვლევების თანახმად, ყველაზე მსუქანი ადამიანები ცხოვრობენ მექსიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სირიაში. ზოგიერთის წონა 400 კილოგრამამდეც კი აღწევს. ჩვენი მეზობელი რუსეთელები ყველაზე მსუქანი ერების პირველ ოცეულში შედიან (სამწუხაროდ, ჩვენი მონაცემები არ გაგვაჩნია). ყველაზე ტანწვრილები არიან ჩრდილოეთ კორეის მცხოვრებლები. იქ მოზრდილი მამაკაცის საშუალო წონა 49,5 კილოგრამია, რაც, სხვათა შორის, გასაოცარი არ უნდა იყოს: ქვეყანაში ცხოვრების უკიდურესად დაბალი დონეა, საკვები პროდუქტები კი გაიცემა ტალონებით.

სხვათა შორის, სულ ამ ცოტა ხნის წინათ გასაცემი პროდუქტების ოდენობა კიდევ უფრო შემცირდა.

ყველაზე ტანმაღალი ხალხი ნიდერლანდში ცხოვრობს. მამაკაცის საშუალო სიმაღლე აქ 184 სანტიმეტრია, ქალისა – 172 სანტიმეტრი. ზრდას არ უნდა უჩიოდნენ ასევე შვედეთის, გერმანიისა და ჩერნოგორიის მცხოვრებლები. აი ამერიკელები, ისევე როგორც, სხვათა შორის, რუსებიც, გასული საუკუნის შუა პერიოდიდან „დააპატარავდნენ“. პლანეტის ყველაზე დაბალი ხალხი პიგმეები არიან. მათი სიმაღლე 140 სანტიმეტს ვერ აღწევს.

სიმაღლისა და წონის გარდა დედამიწის ხალხები განიზომებიან სხვა პარამეტრებითაც. მაგალითად, მამაკაცისა და დედაკაცის მთავარი ღირსებებით. ყველაზე გრძელი სასქესო ორგანოები აქვთ კონგოს მცხოვრებლებს: აღგზნებულ მდგომარეობაში მათი ზომა 18 სანტიმეტრია. ყველაზე მოკლე კი აქვთ კორეელებს – სულ რაღაც 9,7 სანტიმეტრი. ჰელსინკის უნივერსიტეტის მეცნიერებმა აღმოაჩინეს დამოკიდებულება შინაგანი მთლიანი პროდუქციის ზრდასა და მამაკაცის ასოს სიგრძეს შორის. ქვეყნები, სადაც მამაკაცური ღირსება ძალიან დიდია ან პატარა, მაქსიმალურ ეკონომიკურ აყვავებას კი აღწევს ქვეყნები, სადაც პენისის სიგრძე 13,5 სანტიმეტრია.

ქალის მთავარი ღირსების მიხედვით – მკერდის მოცულობით – ლიდერებში არიან რუსები. იქ ყველაზე მეტი ქალბატონია მდიდრული მეოთხე ზომის ბიუსტით. ნული ან პირველი ზომები აქვთ ჩინეთის, იაპონიისა და ზოგიერთი აფრიკული ქვეყნის წარმომადგენლებს.

ქართული ფლორის საოცრება

„სალხინო“ უებარი წამალია

**„სალხინო“** აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ჭრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.

**„სალხინო“** სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ **„სალხინოს“** მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

**„სალხინოში“** შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

**„სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.**

- **გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.**
- **გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.**

**ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84**
www.salkhino.ge

◎ ვენერიული დაავადებები

# ციფრებსა და ფაქტებში

**ვენერიული დაავადებანი – ესაა ინფექციურ დაავადებათა ჯგუფი, რომელიც უმთავრესად სასქესო გზით გადაეცემა: ათაშანგი, გონორეა, მსუბუქი შანკრი, საზარდულის ლიმფოგრანულემატოზი...**

1527 წელს ფრანგმა მეცნიერმა ჟ. დე ბეტანკურმა წამოაყენ ეს ტერმინი – ვენერიული დაავადებანი – ლათინური Veneris-ისგან (ვენერა), ძველ ბერძნებში სიყვარულის ქალღმერთი. დღეს უფრო ხშირად ხმარობენ ტერმინს „დაავადება, რომელიც სქესობრივი გზით გადაეცემა“.

**ვენერიული დაავადებანი, რომლებსაც ბაქტერიები იწვევს – გონორეა, ქლამიდიური ინფექცია, ათაშანგი, – მთლიანად იკურნება. იგივენი, რომლებსაც იწვევენ ვირუსები – შიდსი, გენიტალური ჰერპესი და წვეტიანი კონდილომები – არ იკურნება.**

ევროპაში ვენერიულმა დაავადებებმა ფართო გავრცელება XV საუკუნის ბოლოს მოიპოვეს, რასაც ხელი შეუწყო კოლონიურმა ომებმა, ქალაქების განვითარებამ და მათში მზარდმა პროსტიტუციამ.

მათი 70 პროცენტი, ვინც ექიმს მიმართავს საკითხით – დაავადება, რომელიც სქესობრივი გზით გადაეცემა – ღებულობს დიაგნოზს „ქლამიდიოზი“.

**30 წუთში იღუპება მკრთალი სპიროქეტა ცელსიუსით 48 გრადუსამდე გაცხელების დროს, უმალვე – ცელსიუსით 100 გრადუსამდე გაცხელების დროს, აღმგზნებს დაბალი ტემპერატურა კარგად გადაიტანს.**

სიფილისით დასნებოვნების შემთხვევების 97 პროცენტი ხდება სასქესო გზით. მაგრამ ამ დაავადების აღმგზნებს – მკრთალ სპიროქეტას – შეუძლია რამდენიმე საათის განმავლობაში იყოს სიცოცხლისუნარიანი ნესტიან პირსახოცზე ან ნეჭზე (ე. წ. „მოჩალკა“).

**მოსახლეობის დაახლოებით 50 პროცენტში ვენერიული დაავადებები ხდება ქრონიკული, თუ დროზე არ მოხდა მათი დიაგნოსტირება და არ ვუმკურნალებთ მწვავე ფორმას.**

გონორეისადმი იმუნიტეტი არ არსებობს, ესე იგი ადამიანს შეიძლება შეეყაროს და ავად იყოს გონორეით ბევრჯერ.

დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 10 პროცენტი ინფიცირებულია პარაზიტულ ინფექციოზ ტრიქომონიაზით, მიაჩნიათ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორანიზაციის ექსპერტებს.

**ცოლქმრული ერთგულება და პრეზერვატივი – სასქესო ინფექციებისგან დაცვის ყველაზე საიმედო საშუალებებია. თუმცა, მამაკაცების მხოლოდ 24,8 პროცენტი იყენებს პრეზერვატივს სქესობრივი ურთიერთობის დროს.**

◎ ინფორმაცია

## სართიჭალაში მომხდარი ავარიისას მამაკაცი და 2 წლის ბავშვი გარდაიცვალნენ

**სართიჭალაში გუშინ მომხდარ ავტოავარიას მსხვერპლი მოჰყვა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციათა სამსახურში განუცხადეს, ერთმანეთს სატვირთო ავტომობილი და BMW-ს მარკის ავტომანქანა შეეჯახა, რის შედეგადაც ადგილზე გარდაიცვალა მსუბუქ ავტომობილში მჯდარი მამაკაცი და 2 წლამდე ასაკის ბავშვი. ამავე ავტომობილში მყოფი ერთი ქალბატონი კი მძიმე მდგომარეობაში საავადმყოფოში გადაიყვანეს. გარდაცვლილები, სავარაუდოდ, მამა-შვილი არიან.**

**ავტომობილს აზერბაიჯანული ნომრები ჰქონდა და გარდაცვლილებიც აზერბაიჯანის მოქალაქეები არიან.**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◎ ცინცხალი ანეკდოტები

**– ეძიმო, ბევრი ადამიანის სიცოცხლე გაქვთ გადარჩენილი?**

**– რა თქმა უნდა, მე ხომ იშვიათად ვაკეთებ ოპერაციებს.**

* * *

**ძმარი სამსახურიდან რეკავს სახლში ამბის გასაგებად. ცოლი ტელეფონის ეკრანზე ცნობს ქმრის ნომერს და წაიკეკლუცებს:**

**– ალო! მოსკოვის ულამაზესი ქალი გისმენთ...**

**– ოი, მაპატიეთ, ვგონებ, ნომერი შემეშალა, – ამბობს დაბნეული ქმარი.**

* * *

**ძაღლმა ქუჩაში მამაკაცს უკბინა. დაზარალებულმა, თავისი დახეული შარვალი რომ დაინახა, ძაღლის პატრონს უყვირა:**

**– დაუყოვნებლივ ვითხოვ კომპენსაციას!**

**– კი, ბატონო! მე ძაღლს დავაკავებ, შენ კი უკბინე!**

* * *

**– წარმოგიდგენია, ერთმა ტიპმა თურმე ანდერძით 300 ათასი დოლარი დაუტოვა ქალს, რომელსაც ამ 50 წლის წინათ უარი უთქვამს მისთვის ცოლად გაყოლაზე!**

**– აი, მესმის მადლიერება!**

* * *

**რით განსხვავდებიან გამოცდილი ქალები ცინგლიანი გოგოებისგან?**

**ამ უკანასკნელებს ყველაფერი უნდა ასწავლო, ყველაფერი უნდა აუხსნა, ყველაფერი უნდა აჩვენო, რა და როგორ, გამოცდილები კი სამ დღეში სრულიად უშეცდომოდ შეგიდგენენ წლიურ საფინანსო ანგარიშს.**

* * *

**იგორი იმიტომ არ მიიღეს ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე, რომ გასაუბრებისას ლაპარაკობდა.**

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-36
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24